ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 2 მაისი, 2019 №102 (8056) ფასი: 60 თეთრი

ნიკა მელიამ ზაზა პაპუაშვილი გალახა

გვ.6

1 მაისიდან

ალექსანდრე დიუმა

კავკასია

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

დიდი დაჭერები იწყება

გვ.2

ვისი დაკვეთით ჩააბარეს გახარიას უსაფრთხოების საბჭო

„კახა კალაძე „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „მთელი პარტია ზურაბიშვილის გამო ბანერებზე გაეკრა და ახლა აღარ უნდათ ეს ქალი პრეზიდენტად?“



ბექა ნაცვლიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ თვითლიკვიდაციის პროცესი დაიწყო“

გვ.3



რომან გოცირიძე: „ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი შეიძლება დადგეს“

გვ.5

სამართალი გვ.7

პატარკაციშვილის მკვლელობის საქმეზე პროკურატურის მოწმეები დაიკითხნენ

იური სუსლიაკი პროკურორ თეა გიორგაძეს სასამართლოში უჩივის

ცოლისა და სიმამრის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა

ეკონომიკა გვ.5

იციკ მოშე: „ჩვენთვის ბიზნესი მხოლოდ ციფრები არ არის“

გვ.5

ქვეყნები, სადაც საქართველოდან ყველაზე მეტი ფული გადაირიცხა

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები მაისში პასპორტებს უფასოდ მიიღებენ

გვ.6

1-ელი ივნისიდან ახალი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თამბაქოს ბიზნესი დაჯარიმდება

ISSN 1987-9385

5 ამერიკა და რუსეთი კავკასიისთვის ბრძოლას აქტიურებენ

4 ლია მუხაშავრია: „სისხლიანი რეჟიმის მსახურმა მოსამართლე მურუსიძემ ზნეობა არ უნდა გვასწავლოს“

3 კახა კუკავა: „ვადამდელი არჩევნები ნიშნავს რევოლუციას“

8 ვენესუელაში აჯანყება დაიწყო

დიდი დაჭერები იწყება

ვისი დაკვეთით ჩააბარეს გახარიას უსაფრთხოების საბჭო

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა იწევს. ახლო მომავალში მრავალგზის დაანონსებული სამთავრობო ცვლილებები და დაჭერების დიდი სერია გველოდება.

ეს დაჭერები შეიძლება შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც გუშინ, 1 მაისს, უსაფრთხოების საბჭოს მდივანიც გახდა და ამიერიდან ყველა ძალოვან სტრუქტურას ის გააკონტროლებს.

უსაფრთხოების საბჭოს მდივნის მოვალეობას განახლებული კონსტიტუციით პრემიერი უნდა ასრულებდეს. გახარია პრემიერი ჯერ არ არის, მაგრამ, როგორც ამბობენ, მალე გახდება.

მას ივანიშვილისგან სერიოზული დავალება აქვს მიღებული – პარტია უნდა გაწმინდოს და პარტიისთვის ახალი ხალხი შეარჩიოს.

რეიტინგმისავათებულ „ქართულ ოცნებას“ ახლა ძალიან სჭირდება ხალხის გულის მოგება. ხალხის გულის მოგება კი კორუმპირებული ჩინოსნების დაკავებით შეიძლება. ასეთები, ხელისუფლების მადლით, მრავლად გვყავს.

არჩევნების წინ და ხალხის გულის მოსაგებად კორუმპირებულების დაჭერა ჩვენთან ახალი ამბავი არ არის. სარწმუნო წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ამჯერად ბევრად უფრო მსხვილი რანგის ჩინოსნებს დაიჭერენ.

– დაკავებულთა შორის შეიძლება მინისტრებიც კი იყვნენ. მთელ რიგ საკითხებზე მიდის სერიოზული მუშაობა და შედეგი მალე დაიდება. დაკავებები შესაძლოა ფულის გათეთრების ბრალდებით დაიწყოს. ეს იქნება დიდი სკანდალი, – აცხადებს სანდო წყარო.

არანაკლებ სკანდალური იქნება გახარიას მოღვაწეობა უსაფრთხოების საბჭოს მდივნის პოსტზე. ის ძალოვან სტრუქტურებში სერიოზული ცვლილებების განხორციელებას აპირებს. როგორც ამბობენ, ამ მომენტისთვის მისი მთავარი სამიზნე არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. სუსთან მას უკვე კარგა ხანია უთანხმოება აქვს და ახლა, სავარაუდოდ, ის დრო დადგა, როცა გამოჩნდება, თუ ვინ არის ძალოვნებში დირექტორი.

გახარიას მიმართ უცვლელი პოზიცია უკავია პატრიარქის ქორეპისკოპოსს, მეუფე იაკობს. როდესაც პირველად გავარდა ხმა, შს მინისტრი პრემიერი გახდებაო, ბოდბელმა ეპისკოპოსმა თქვა, რომ ამას არ დაუშვებდა. ამტკიცებდა, რომ გახარია რუსეთის კაცია.

ქორეპისკოპოსი მიიჩნევს, რომ შს მინისტრს უსაფრთხოების საბჭო პუტინის დავალებით ჩააბარეს.

– რატომ დანიშნეს და ეტყობა, პუტინმა სთხოვათ ან მოსთხოვა. რასაც მაგი აშავებს, ამდენი ხანი რომ არის.. არ გიკვირთ? – განუცხადა მეუფე იაკობმა ტვ პირველს.

რამდენად პუტინის მითითებით მოხდა მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე, ძნელი დასამტკიცებელია, თუმცა საქართველოს ისტორიაში ხშირად ყოფილა, რომ ძალოვანი მინისტრები უშუალოდ მოსკოვის მითითებით დაუნიშნავთ. თავის დროზე სწორედ მოსკოვის მოთხოვნით დაინიშნნენ უშიშროების, თავდაცვის და შს მინისტრებად იგორ გიორგაძე, ვარდიკო ნადიბაიძე და შოთა კვირაია.

უსაფრთხოების ახალ მამას სულ არ ადარდებს, რას ფიქრობს მასზე ერი და ბერი. ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სამომავლო გეგმებით არის დაკავებული.

გახარიას თქმით, საბჭო იქნება სათათბირო ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პრემიერის სრული ინფორმირება ქვეყნის უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებით.

მისი განმარტებით, 1 მაისს გამართული შეხვედრა ტექნიკური ხასიათის იყო.

– მოგეხსენებათ, რომ ახალი კანონი სულ ახლახან იყო მიღებული და დამტკიცებული პარლამენტის მიერ. სამწუხაროდ, საპატიო მიზეზების გამო ვერ გვესწრებოდა საბჭოს ორი მუდმივი წევრი.

პრემიერისგან მივიღეთ დავალებები. მე საბჭოს წევრებს გავაცანი, უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს სტრუქტურა როგორ წარმოგვიდგენია. უახლოეს მომავალში საბჭო ამოქმედდება. მოგეხსენებათ, რომ საბჭო იქნება ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანო ყველა იმ უწყების, რომელიც ჩართულია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, – განუცხადა ჟურნალისტებმა გიორგი გახარიამ.

გახარიას ინფორმაციითვე, მომდევნო შეხვედრა 1 თვეში გაიმართება.

„კახა კალაძე „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „მთელი პარტია ზურაბიშვილის გამო ბანერებზე გაეკრა და ახლა აღარ უნდათ ეს ქალი პრეზიდენტად?“

შორენა მარსაგიშვილი

რა ამოძრავებს დედაქალაქის მერს, რა უფეშქაშა მას ივანიშვილმა, ვისი დავალებით არიგებს მმართველი პარტია საქართველოს ტერიტორიებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

– თბილისის მერმა კახა კალაძემ, რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერია, განაცხადა, სალომე ზურაბიშვილს ჩვენს პარტიასთან ნუ გააიგივებთო. გაემიჯნა კალაძე პრეზიდენტს თუ რამე სხვა ამბავია?

– კალაძე ზურაბიშვილს კი არა, პარტია „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა. თბილისის მერი გვიმტკიცებს, რომ სალომე იყო დამოუკიდებელი კანდიდატი და მათ პარტიას დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა ჰქონდა გადაწყვეტილი. არ ვიცი, რანაირად შეიძლება ადამიანს უპარტიო ეწოდოს, რომლის გასაპრეზიდენტებლად მთელი „ქართული ოცნება“ – ივანიშვილით დაწყებული, კალაძით დამთავრებული – ბანერებზე გამოეკრა.

მისი გაპრეზიდენტების გამო ზუგდიდში ია კერზაია მოკლეს. მის გამო ათასობით ადამიანს მიაყენეს ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა. უამრავი ადამიანი დააშინეს. ქვეყნის არაფორმალურმა მმართველმა პირდაპირ მოისყიდა 600.000 ადამიანი, როდესაც მათ ვალები ჩამოაწერა.

კიდევ ბევრი რამე იკადრეს, ეს ქალი რომ პრეზიდენტი გამხდარიყო. ზურაბიშვილი არის მხოლოდ „ოცნების“ პრეზიდენტი. ამ პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რომ ამ ქალმა პრეზიდენტის რანგში აკეთოს განცხადებები, რაც ქვეყანას აზიანებს.

ძალიან კარგია, თუ „ოცნებაში“ მას ემიჯნებიან და ხვდებიან, თუ რამხელა სისულელე გააკეთეს, როცა ეს ქალი ქვეყანას თავზე დაასვეს.

– ისე, კალაძე ერთადერთი იყო „ოცნებიდან“, ვინც საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის მერე თქვა, რომ ზურაბიშვილის მხარდაჭერა იყო შეცდომა.

– თქმით თქვა, მაგრამ მის გაპრეზიდენტებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა. მან თბილისი ჩაიბარა და მთელი არჩევნების მანძილზე ამ ქალის პრესსპიკერად იყო გადაქცეული.

ახლა იმის თქმა, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებასთან“ არ უნდა გავაიგივოთ, არის ხალხის და საკუთარი ამომრჩევლის დაცინვა.

კალაძეც აგებს პასუხს იმაზე, რაც ამ ქალმა დააშავა. რასაც ზურაბიშვილმა ხელი შეახო, ყველაფერი თავზე დაგვემხო. სომხეთში ჩასულმა აზერბაიჯანის გამაღიზიანებელი განცხადებები გააკეთა. ბაქოში კი ისეთი რაღაცები თქვა, ერევანი გადარია.

ამ ქალის თითოეული განცხადება არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გაღიზიანება და რუსეთის წახალისება. მოსკოვი მის ყველა განცხადებას ტაშს უკრავს.

– კალაძეზე ვსაუბრობთ და ბოლო დროს მის სახელს აქტიურად უკავშირდება მეტროში შექმნილი პრობლემები. ის, რაც ახლა მეტროში ხდება, ყველაფერი მისი ბრალი რანაირად არის, მისი მერობის პერიოდში გამოვიდა ყველაფერი მწყობრიდან?

– ყველაფერს კალაძეს ნუ დავაბრალებთ. ჯერ კიდევ ნარმანიას დროს დაიწყო ეს ყველაფერი. მან უარი თქვა ვაგონშემკეთებელ ქარხანაზე და იქ დასაქმებული პროფესიონალები ქუჩაში გაყარა. ეს ადამიანები დღეს აზერბაიჯანსა და სომხეთში არიან დასაქმებული.

ნარმანიამ ეს ადამიანები გაყარა, მათ ადგილზე კი „ოცნების“ აქტივისტები დააასაქმა. ამიტომაც არის, რომ დღეს მეტროში ასეთი ვითარებაა. მერე იყო და ვარკეთილის მეტროში ჭერი დაგვემხო თავზე.

მეტრო არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება. ის არის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი. მასზე სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს. დღევანდელი ხელისუფლება კი ცდილობს, მეტროთი რაც შეიძლება მეტი ფული იშოვოს.

ჩვენ დიდი ხანია ვსაუბრობთ იმაზე, რომ მეტროში ხარვეზებია, რაც მალე ძალიან დიდ პრობლემებს შექმნიდა. ამის პასუხად კალაძე სულ მატყუარებს გვეძახდა. ახლა კი ვხედავთ, რომ დღე ისე არ გადის, მეტროში შეფერხება არ იყოს. ამის გამო ათეულობით ათასი ადამიანი ზარალდება. თავად კალაძეს ეს სულ არ ადარდებს, დაქრის თავისი ავტომობილებით და ისიც არ ახსოვს, როგორია მეტრო საერთოდ.

– კალაძეს ძალიან უყვარს მილანი და იქაური მეტრო, როგორც ამბობენ, ძალიან ცუდად მუშაობს. ამ ბიჭს ყველაფერი მილანური გადმოაქვს თბილისში და მეტროც მილანურ სტილზე ხომ არ გადაჰყავს?

– ფაქტი ისაა, რომ კალაძეს მილანში რაც კი ცუდი რამე უნახავს, ყველაფერი თბილისში გადმოაქვს. ის ნამდვილად უნდა, რომ თბილისელებს თავი რაღაცით დაამახსოვროს, მაგრამ არ გამოსდის. ან როგორ უნდა გამოუვიდეს, როცა ტაქსოპარკის დირექტორის ფუნქციებს ასრულებს.

დედაქალაქის მთავრობის სხდომებს იწყებს იმით, რომ თბილისში თეთრი ფერის ტაქსებმა უნდა იარონ. ევროპული სტანდარტები კარგია, მაგრამ ევროპამდე მარტო თეთრი ფერის ტაქსები გვაშორებს? კვირა ისე არ გავა, სადმე ავტობუსი არ დაგორდეს. გაუვიდათ ამ ავტობუსებს ექსპლუატაციის ვადა და მუხრუჭები აღარ უჭერთ, რაც თბილისის მერს საერთოდ არ აინტერესებს.

ის თავისი ბიზნესინტერესებით ხელმძღვანელობს – სადაც ფული იშოვება, მხოლოდ იმ საქმეშია ჩართული. დანარჩენი მას არ აინტერესებს. ივანიშვილი ხომ საქართველოს უყურებს, როგორც საკუთარ შპს-ს. კალაძის შპს-დ იქცა თბილისი.

მეტროს რეაბილიტაციით ის ბევრ ფულს ვერ იშოვის და ამიტომაც არის მიგდებული ეს სტრატეგიული ობიექტი.

– მეტრო მართლა სტრატეგიული ობიექტია და მის გამართულად მუშაობაზე მხოლოდ კალაძემ უნდა იზრუნოს? ცენტრალურ მთავრობას არაფერი ეხება?

– ხელისუფლება რომ გვყავდეს, მეტროს მიხედავდა. ჩვენ დღეს ხელისუფლება არ გვყავს. გავლენის სფეროები გადანაწილებულია და მეტრო მხოლოდ კალაძეს ეხება, მაგრამ არც მას აინტერესებს. ამათთვის მთავარია, ფული იშოვონ.

– არის ასეთი ვერსიებიც, რომ მეტროსთან დაკავშირებული პრობლემები კალაძის წინააღმდეგ არის მიმართული, ისევე, როგორც პანკისში მომხდარი ინციდენტი თითქოს გახარიას გაუჩალიჩეს. ამაზე რას გვეტყვით?

– ამათ არავინ არაფერს არ უჩალიჩებს, ისინი თავიანთი ქმედებებით უჩალიჩებენ საკუთარ თავს. მარტო საკუთარ თავს რომ ვნებდნენ, არ ვიდარდებდი, მაგრამ ეს ყველაფერი ქვეყანასაც აზიანებს. თუნდაც პანკისში განვითარებული მოვლენები ავიღოთ. რა საჭირო იყო ასეთი სახის შეტაკება. ეს ყველაფერი თან იმ დროს მოხდა, როცა მოლაპარაკებები მიდიოდა.

პანკისი რომ სენსიტიური თემაა, ეს ყველამ იცის და იქ ცოტა სიფრთხილეა საჭირო. ესენი კიდევ სპეციალურად იქცევიან გამომწვევად. ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ რეგიონში არეულობა დაიწყოს. ერთადერთი, ვისაც ეს აწყობს, არის რუსეთი. ჰესის ამბავი მხოლოდ საბაბია, როდის იყო, რომ ჰესებს სპეცრაზმით აშენებდნენ.

– ჰესების აშენებას მხარს უჭერს კალაძე. მისი თქმით, საქართველო ასე მიაღწევს ენერგოდამოუკიდებლობას, ხოლო ვინც ამის წინააღმდეგ მიდის, საქართველოს მტერია.

– თბილისის მერი რომ ენერგოდამოუკიდებლობაზე დაიწყებს საუბარს, ეს უკვე ერის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბექა ნაცვლიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ თვითლიკვიდაციის პროცესი დაიწყო“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის წევრი, დამოუკიდებელი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტში გუშინ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო ბექა, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა გამწესების შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო. თქვენ ხელისუფლებას მიმართეთ – დისკრედიტირებული მოსამართლეების გადაწყვეტილებას რამდენად ექნება საზოგადოების ნდობა. როგორ შეაფასებთ პროცესს?

– პარლამენტმა მიიღო ის კანონპროექტი, რომელიც უმრავლესობის მიერ იყო მომზადებული. ალტერნატიული კანონპროექტი ჯეროვნად განხილულიც კი არ იქნა. ჩვენ კანონპროექტში ასახული გვქონდა სწორედ ის საკითხები, რაზეც ვენეციის კომისიამ ყურადღება გაამახვილა.

ვენეციის კომისიამ მოსამართლეთა გამწესების პროცედურა კი არ შეაფასა უარყოფითად, არსებული კონტექსტი გაითვალისწინა და სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით გააკეთა რეკომენდაციები. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდობლობა გამოუცხადა და ფარული კენჭისყრის გაუქმების რეკომენდაცია გასცა.

ვენეციის კომისიამ ასევე უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს პარლამენტს, როდესაც რეკომენდაცია გასცა, უზენაეს სასამართლოში დასანიშნ მოსამართლეთა სრული შემადგენლობა კი არ დანიშნოს, მხოლოდ ნაწილი დანიშნოს და დანარჩენი შემდეგი მოწვევის პარლამენტს დაუთმოს.

– ამას ხელისუფლებამ პოლიტიკური რეკომენდაცია უწოდა.

– პარადოქსული ვითარებაა. თავად ხელისუფლებამ მიმართა ვენეციის კომისიას რეკომენდაციებისთვის და შემდეგ არ გაითვალისწინა, მეტიც, პოლიტიკურიც კი უწოდა. ერთი რეკომენდაცია, რომელიც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების გაუქმებას ეხება, არაფერს ცვლის.

– ეს არ იძლევა შესაძლებლობას, რომ გარედან შევიდეს ახალი კადრი და სიტუაცია გაჯანსაღდეს?

– როგორ? როდესაც სია, რომელიც პარლამენტში შემოვა, უნდა შეარჩიოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, სადაც სწორედ ეს ადამიანები არიან წარმოდგენილები.

– კენჭისყრის შემდეგ ლევან კობერიძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. მან თქვა, რომ მოსამართლეების საკითხი მისთვის წყალგამყოფია. კობერიძემ და ერქვანიამ, უმრავლესობის ორმა დეპუტატმა, კანონპროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა. უმრავლესობის შიგნით პოლიტიკურ პროცესს გამოიწვევს ეს საკითხი თუ კენჭისყრით დასრულდა ყველაფერი?

– არა, რა თქმა უნდა! პოლიტიკური პროცესი აუცილებლად გაგრძელდება, ეს გარდაუვალია. დისკუსია გაგრძელდება. დეპუტატები, ვისაც გვჯერა, რომ ეს მოსამართლეები ვერ იქნებიან ამ ფორმით და ამ წესით არჩეული, პროტესტს გავაგრძელებთ. რასაკვირველია, ეს მოსამართლეები ქართულ მართლმსაჯულებას და სამართალს ვერ მოემსახურებიან და ამაზე ჩვენ საუბარს არ შევწყვეტთ.

რაც შეეხება უმრავლესობაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს, ეს უფრო მეტი ინტენსივობით დაიწყება მაშინ, როდესაც მოსამართლეთა სია შემოვა პარლამენტში დასამტკიცებლად. სწორედ ეს სია იქნება ამ შემთხვევაში ბევრი ადამიანისთვის, „ქართული ოცნების“ ბევრი დეპუტატისთვის, რომელიც სკეპტიკურად არის განწყობილი ამ პროცესის მიმართ, ლაკმუსის ქაღალდი.

– მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის მხოლოდ ორმა დეპუტატმა მისცა ხმა წინააღმდეგ?

– დიახ! მიუხედავად იმისა, მათ ამ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს თუ არა. სიის შემოსვლის შემდეგ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესი დაიწყება საქართველოს პარლამენტში. ამ შემთხვევაში უკვე მნიშვნელობა ექნება წარმოდგენილ კონკრეტულ კანდიდატებს.

– ამ სიაზე ძალიან ბევრი საუბარია. ამბობენ, რომ შეიძლება ოდიოზური მოსამართლეები არ იყვნენ სიაში, მაგრამ სია სწორედ მათ მიერ იყოს დაკომპლექტებული. ამ შემთხვევაში როგორ განვითარდება მოვლენები?

– ძალიან მარტივად დგას საკითხი. საქართველოში ყველა ყველას იცნობს. ამ ადამიანებს იცნობენ პროფესიულ წრეებში, იცნობენ დაინტერესებული ადამიანები. ასევე, ჩვენც, დეპუტატებს შეგვეძლება, მოვიძიოთ ინფორმაცია იმ ადამიანებზე, რომელთაც ბოლოს და ბოლოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა უნდათ სამისდღემჩიოდ.

თუ სიაში არ იქნებიან ის ოდიოზური ფიგურები, ადამიანები, რომლებიც უშუალოდ კლანს წარმოადგენენ, მაგრამ იქნებიან კანდიდატები, რომელთაც ასე თუ ისე, ირიბად თუ პირდაპირ კავშირი აქვთ კლანთან, მაშინ ეს დამალული ვერ იქნება და ეს ცხადი გახდება ყველასთვის.

– თქვენ ამბობთ, რომ შეიძლება სიაში ჩინჩალაძე-მურუსიძე არ იყვნენ, მაგრამ სია იყოს მათ მიერ შედგენილი, რომ მათი ინტერესები იყოს დაცული?

– სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ჩვენ ყველა შემთხვევაში გვეცოდინება, წარმოდგენილი კანდიდატები იქნებიან თუ არა კლანის ინტერესების გამტარებლები. იდეა რა არის?! სწორედ მათი კონტროლიდან არ გამოვიდეს სასამართლო სისტემა და ამიტომ ისინი ყველაფერს ეცდებიან, რომ სადავეები არ დაკარგონ. როდესაც კანდიდატები იქნებიან წარმოდგენილები, საბოლოო ვერდიქტის დროს ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი.

– მიუხედავად ამდენი პოლიტიკური ზიანისა, რაც ხელისუფლებამ მიიღო, რატომ ულირს ეს ყველაფერი? „ოცნება“ რატომ იხდის ასეთ ძვირ პოლიტიკურ ფასს?

– ეს არის ყველაზე მართებული და ლეგიტიმური კითხვა. რაციონალურად ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვერ გეტყვით, მე არ მაქვს რეალური ახსნა. რა ვალდებულებები წარმოიშვა მმართველ გუნდსა და ამ მოსამართლეების ჯგუფს შორის, ძალიან რთული სათქმელია. რითი არის მოტივირებული ეს თვითლიკვიდაციის პროცესი, რომელსაც ამ შემთხვევაში მმართველი გუნდი მიმართავს, ამაზე პასუხი არ მაქვს.

აქ კიდევ ერთი გარემოებაა მნიშვნელოვანი: ამ ნაბიჯით „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობის ორივე განშტოებას შესაძლებლობა მისცა საკუთარი თავის რეაბილიტაციის. მთელ ამ პროცესში ძალიან რთული სანახავი იყო, ნაციონალური მოძრაობა როგორ მოუწოდებდა „ქართულ ოცნებას“ სამართლიან სასამართლოზე. მერწმუნეთ, ეს ძალიან მძიმე მოსასმენი და დასანახია „ქართული ოცნების“ ნებისმიერი მხარდამჭერისთვის, მაგრამ ეს არის რეალობა.

ამით „ქართულმა ოცნებამ“ თვითლიკვიდაციის პროცესი დაიწყო. ნაციონალური მოძრობის რეაბილიტაცია რამდენად მოხდება, რთული სათქმელია, მაგრამ ამის უფლება ამ ადამიანებს სწორედ „ქართული ოცნების“ მხრიდან მიეცათ.

კახა კუკავა: „ვადამდელი არჩევნები ნიშნავს რევოლუციას“

„ირაკლი ღარიბაშვილს ხომ უსმენთ, გამოსვლა კი არა, ლოცვები აქვს ივანიშვილისადმი მიძღვნილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, ბოლო დღეებია აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვადამდელი არჩევნებისთვის სამზადისი გამოაცხადა. გახარიას ფიგურის გაძლიერებასაც ამ საკითხს უკავშირებენ. სჭირდება „ოცნებას“ ვადამდელი არჩევნები? წავა ამაზე?

– ეს ვერსია, ვადამდელი არჩევნების შესახებ ნამდვილად განიხილება, მეც მსმენია ამის შესახებ. ჩემის აზრით, „ოცნება“ საკითხის გადაწყვეტას ეძებს ტაქტიკაში, რაც უკვე არასწორია. შესაძლებელია ტაქტიკურად სწორი გადაწყვეტილებები მოძებნო და ძირითადად ამაზე მუშაობენ, მაგრამ სტრატეგიულად, მათ გასათვალისწინებელი აქვთ ერთი რაღაც.

– კერძოდ რა?

– თუ არ შეიცვალა ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, ის რეალობა, რომ „ქართული ოცნება“ ფლობს ძალაუფლების 100%-ს და მხარს უჭერს მოსახლეობის 10%, ეს არის რევოლუციური სიტუაცია. ეს ყველა ქვეყანაში ასეა, საქართველო იქნება, უკრაინა თუ სომხეთი, როცა მოსახლეობის 10% გიჭერს მხარს, ძალაუფლების 100%-ს არ უნდა წამოეპოტინო. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველგან ხდება რევოლუციები. ამიტომაც „ოცნება“ დღეს უნდა ფიქრობდეს იმაზე, როგორ დაიწყოს ძალაუფლების ჯერ გადანაწილების და შემდეგ გადაბარების პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ ეს გზას უხსნის ხელისუფლებისაკენ სააკაშვილს, იმიტომ, რომ დღეს საქართველოში რევოლუციის ლიდერი შეიძლება იყოს ერთადერთი ადამიანი, ეს არის სააკაშვილი. არც მე და არც სხვა დანარჩენი შესაფერისი არა ვართ ამ როლისათვის.

– წამსვლელია სააკაშვილი ახალ რევოლუციაზე?

– წამსვლელი კი არა, პირდაპირ იძახის, რომ ჩამოვალ და ამას ვიზამ და იმასო. ეს ადამიანი რევოლუციისთვის არის მზად. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს რევოლუციური სცენარის შესამზადებლად. ხელისუფლება იმდენად არაადეკვატურია რიგ შემთხვევებში, რომ დებატებში შავგულიძეს მურუსიძე დაუსვეს. ვერ ხვდებიან, რომ ნებისმიერი დებატები, რაც არ უნდა სულელურად ილაპარაკოს ნებისმიერმა ოპოზიციონერმა კანდიდატმა და რაც არ უნდა ჭკვიანურად ილაპარაკოს მურუსიძემ, ყოველთვის წყალს დაასხამს იმ პარტიის წისქვილზე, რომელსაც ედებატება მურუსიძე.

– რა ხდება, რატომ ჩამოეკიდნენ ასე მურუსიძეს და რატომ მიყვებიან საფლავში?

– ეს არის სიჯიუტე და ეს არის არაადეკვატურობა. პრობლემა აქ კიდევ იცით რაშია? ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური კლასი იზრდება და იძენს გამოცდილებას ათწლეულობის მანძილზე. საქართველოს პრობლემა რაშია, რომ ყოველ 5-10 წელიწადში ერთხელ ხდება პოლიტიკური კლასის მთლიანად განახლება და საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების 99%-ს საერთოდ არა აქვთ არანაირი გამოცდილება. ვისაც აქვს, ის 1%-იც ვერაფერში ვერ იყენებს ამას. მაგალითად, „ოცნებაში“ ზვიად ძიძიგურია ერთადერთი ადამიანი, ვისაც რაღაცა გამოცდილება აქვს, თუმცა, ის მეორე კი არა, მესამე პლანზეც არ არის. გამოცდილება თუ არ გაქვს, რას უნდა მიხვდე? ერთხელ თუ არ დაგამხობენ, ერთხელ თუ არ დაამხობ, ამ პოლიტიკურ ბატალიებს თუ არ გაივლი და პირდაპირ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში, როგორც ხავერდის თოჯინა, ისე დაგდებენ, ამ შემთხვევაში შეცდომები არის გარდაუვალი. ბიძინა ივანიშვილის გუნდში დღეს არ არის არც ერთი პოლიტიკოსი.

– არც ერთი?

– რომელი ერთი დაგისახელოთ? რომელია გამოცდილი პოლიტიკოსი, ვინც წამყვან პოზიციებზეა? თალაკვაძე, გახარია, მდინარაძე, კალაძე, კობახიძე, რომელს აქვს პოლიტიკური გამოცდილება?! რა პოლიტიკურ პროცესებში მიუღიათ მონაწილეობა?! ამ გუნდში რომ იყოს თუნდაც უსუფაშვილი, თუნდაც ძიძიგურს რომ რამეს ეკითხებოდნენ, რა თქმა უნდა, მათ შეეძლებოდათ ფასეული რჩევების მიცემა ამ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

– გახარიაზე ვსაუბრობთ და რა ხდება, მისი ფიგურის გაძლიერება მიდის? საუბარი იყო, რომ თითქოს პანკისში განხორციელებული მოვლენების შემდეგ მას შეერყა საძირკველი, ასე არ არის?

– კი, მიდის მისი ფიგურის გაძლიერება. გახარიას შეიძლება შეერყა საძირკველი საზოგადოებაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი პოლიტიკური მოწყობა ისეთია დღეს, რაც უფრო საზოგადოებაში შეგერყევა იმიჯი, მით უფრო გაგიმყარდებათ იმიჯი ივანიშვილის თვალში. ასეა ეს სისტემა აწყობილი. პირიქით არის, თუ ხალხს მოსწონხარ, მაშინ ივანიშვილს აღარ მოსწონხარ. აქედან გამომდინარე, ის რომ პანკისის მოვლენებმა დააზიანა გახარიას იმიჯი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გახარიას იმიჯი სასახლის კარზეც შეირყევა. საერთოდ გახარიას პიროვნება ჩვენ ბოლომდე არ ვიცით.

– რას გულისხმობთ?

– ჩვენ ვიცით მისი ერთი მხარე. ჩვენ არ ვიცით, რატომ აქვს მას ეს გავლენები მთავრობაში, ივანიშვილის პირადი განწყობა არის ეს თუ რაღაცა სხვა საერთაშორისო ფაქტორები მოქმედებს. თუმცა არის ერთი ობიექტური მომენტიც, რასაც მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის წარმომადგენელი ვარ, ვიტყვი, რომ ამ ხელისუფლებაში გახარია აშკარად გამოირჩევა თავისი პირადი ინტელექტით. ისე არ გამიგოთ, რომ გადაჭარბებული წარმოდგენის ვარ მასზე, მაგრამ ამ ხელისუფლებაში რაც გვყავს, სამარცხვინო, კლოუნების რაზმეულში, გიორგი გახარია აშკარად გამოირჩევა თავისი ინტელექტით და სიტყვა-პასუხით.

– მიიწევს პრემიერ-მინისტრის სავარძლისკენ? თუ არ სჭირდება მას ეს პოსტი?

– ვერ გეტყვით. ჩვენ არ ვიცით, ეს რა თამაშის ნაწილია. თუ ეს არის მარტო სასახლის კარის თამაში, მაშინ, სავარაუდოდ, მას დაემართება იგივე, რაც დაემართა ალასანიას. იმიტომ, რომ ივანიშვილს არ უყვარს პოპულარული ტიპები თავის გარემოცვაში, მაგრამ შესაძლებელია მას ჰქონდეს გარკვეული მხარდაჭერა გარედან.

– გარედანო და რა ძალას გულისხმობთ? რუსეთს თუ დასავლეთს?

– გახარიას საკმაოდ თავდაჯერებულად უჭირავს თავი, რაც ასევე არ არის დამახასიათებელი ამ მთავრობის წევრებისთვის. აბა დააკვირდით ერთ რაღაცას, ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ფიგურები, ვინც ზემოთ ჩამოგითვალეთ, ბახტაძე, კობახიძე, კალაძე, მდინარაძე, თალაკვაძე და დანარჩენებიც, თავის ყველა გამოსვლაში ვალდებულნი არიან, რომ ოსანა უმღერონ ბიძინა ივანიშვილს. ბატონი ბიძინა რომ არა, ბატონი ბიძინა ისე, ბატონი ბიძინა ასე... ხომ ყველა ხედავს, რომ გახარია ამას საჭიროდ არ თვლის. ის არ იმცირებს ასე თავს, რომ ბაღის ბავშვივით დადგეს და იჭყლოპინოს ეს სისულელეები.

– ანუ, რა ძალა დგას მის უკან? რატომ არ უწევს ანგარიშს ივანიშვილს?

– არ ვიცი. ფაქტია, რომ მისი წარმატება ივანიშვილთან მლიქვნელობით მოპოვებული წარმატება არ არის და ფაქტია, რაღაც სხვა ძალა უმაგრებს ზურგს. ყველა დანარჩენი, საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირი, ეკონომიკაზე ლაპარაკობს, პოლიტიკაზე თუ გარემოს დაცვაზე, ტექსტში მინიმუმ ხუთჯერ უნდა გაურიოს მადლობა ბატონ ბიძინასო. ირაკლი ღარიბაშვილს ხომ უსმენთ არა, გამოსვლა კი არა, ლოცვები აქვს ივანიშვილისადმი მიძღვნილი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ლია მუხაშავრია: „სისხლიანი რეჟიმის მსახურმა მოსამართლე მურუსიძემ ზნეობა არ უნდა გვასწავლოს“

იავო ნაცვლიშვილი

„თუ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“ დაბრუნდება, ველი, რომ მურუსიძე თავის სკამს მაშინაც შეინარჩუნებს“

სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 13 წლის შემდეგაც ეს საქმე ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსულია არა მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ უკვე პოლიტიკური მიმართულებითაც. გირგვლიანის საქმის ერთ-ერთი მოსამართლე ლევან მურუსიძე, რომელსაც სასამართლო სისტემის ოდიოზურ ფიგურად მოიხსენიებენ, გირგვლიანის საქმის ადვოკატ შალვა შავგულიძეს მორალურ ნაწილში ეპაექრება იმის გამო, რომ მისმა პარტიამ წინა ხელისუფლების ერთ-ერთ ნაწილთან „ევროპულ საქართველოსთან“ ბლოკი შექმნა.

მურუსიძე-შავგულიძის დებატები „იმედის“ ეთერში 30 აპრილს გაიმართა. მოსამართლე მურუსიძემ რამდენიმე პოლიტიკური განცხადება კიდევ გააკეთა. ეს მაშინ, როცა შალვა შავგულიძე პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მთაწმინდის მაჟორიტარად იყრის კენჭს.

რა გზავნილია ეს და რა პოლიტიკურ თამაშთან გვაქვს საქმე? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადვოკატი ლია მუხაშავრია საუბრობს:

– თქვენთვის თუ იყო სიახლე რამე შავგულიძე-მურუსიძის დებატებისგან?

– სიმართლე გითხრათ, არ მიყურებია ამ დებატებისთვის. ზოგადად კი მგონია, რომ მაგ საკითხზე დებატები აბსოლუტურად უსარგებლო და არასაჭიროა. მე რომ შალვა შავგულიძის ადგილზე ვიყო, საერთოდ არ შევიდოდი ამ განხილვებში. იმიტომ, რომ ზედმეტი და არაფრის მომცემი მგონია.

„ღმერთმა დაგვიფაროს ამ წყევლისაგან, მაგრამ მე ველოდები, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში, მურუსიძე დარჩება და შეინარჩუნებს თავის სკამს“

ჩვენ რა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიას ვახდენთ?! რა თქმა უნდა, სტრასბურის სასამართლოს რევიზია ვერ მოხდება, მაგრამ, ცხადია, რასაც მურუსიძე იტყვის. ეს თქვა ივანიშვილმა და ამიტომ იმეორებს ამას მურუსიძეც.

– ზუსტად ეს იყო მურუსიძის მთავარი ხაზი. დებატების დროს მურუსიძემ უთხრა კიდეც, რომ ივანიშვილის ფრაზეოლოგიითა და ტერმინოლოგიით საუბრობდა.

– უფრო სწორად, მე მგონი, პირიქით იყო. ჯერ მურუსიძემ დაარიგა ივანიშვილი და მერე რადგან ივანიშვილს არ ეყო მურუსიძის ტექსტები, მერე უთხრა, წადი და შენ თვითონ დაინყე მაგის მტკიცებაო.

– პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე შალვა შავგულიძე მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატია და როდესაც ამ დროს მასთან დებატებში იწვევენ ლევან მურუსიძეს და ისიც პოლიტიკურ განცხადებებს როდესაც აკეთებს, ეს სამართლებრივი თემა პოლიტიკურ კონტექსტს ხომ არ იძენს?

– რა თქმა უნდა. ძალიან სწორი აქცენტი დასვით. ჯერ ერთი, მოსამართლე არანაირად არ უნდა ჩაერთოს პოლიტიკურ კონტექსტში და მით უფრო, საპარლამენტო არჩევნების შუალედურ არჩევნებში არ უნდა გამოდიოდეს მხარედ და არ უნდა მონაწილეობდეს ამაში.

ზოგადად მკითხველისთვის საყურადღებო იქნება ვთქვათ, რომ მოსამართლეებს გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული აქვთ. იმიტომ, რომ მათი გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს მათ გადაწყვეტილებებში მოსაზრებების და დასკვნების სრულად წარმოჩენას, რომლითაც ისინი ასაბუთებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, რომელზეც განაჩენი გამოიტანეს მათ. ხოლო პოლიტიკურ პროცესებში მათი მონაწილეობა და მათი მოსაზრებების საჯაროდ გამოცხადება ყოვლად მიუღებელია ნორმალურ ქვეყნებში. აქ ჩვენ რასაც ვხედავთ, ეს არის სრული ანომალია და ნონსენსი.

როგორც მე, ადვოკატი ქალი არ უნდა გამოვიდე სილამაზის კონკურსზე და ჩემი ფიზიკური მონაცემების დემონსტრირება არ დავიწყო, ისეა მოსამართლე, როდესაც წინასაარჩევნო პროცესის დროს გამოდის და აკეთებს ასეთ პოლიტიკურ განცხადებებს. ასეთი უხეში შედარებაც კი შეიძლება მოვიყვანოთ იმის საილუსტრაციოდ, რა უადგილო და უსაფუძვლოა მურუსიძის საქციელი და მისი საჯარო განცხადებები.

– თან, მით უმეტეს, ამას ისიც ხომ არ ამძაფრებს, როდესაც ის საუბრობს მორალურ საკითხებზე და ამ კონტექსტში ახსენებს იმას, რომ შავგულიძე „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად არის საარჩევნო ბლოკში და ამაზე აპელირებს. ეს რაზე მიანიშნებს?

– ვინ, ვინ და მურუსიძემ ნამდვილად არ უნდა გვასწავლოს ზნეობა. უკაცრავად და სისხლიანი რეჟიმის მსახური მოსამართლე რომ იყო, თანაც საკმაოდ დაწინაურებული იმ რეჟიმის დროს, ახლა რანაირად შეიძლება იყოს ისევ მოსამართლე და კიდევ უფრო დაწინაურებული?! ამ ფონზე კიდევ აქეთ მორალს რომ გვიკითხავდეს, ეს შეიძლება?!

ასეთი უზნეობის ატმოსფეროში, რაშიც ვცხოვრობთ, ყველაფერი მოსულა.

– ასევე იმ კანონზეც აპელირებს, რაც მაშინ მიიღეს წინა ხელისუფლების საპარლამენტო ჯგუფმა.

– დიახ. საპროცესო კანონმდებლობას იშველიებს, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

– არა მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილების გამართლების პროცესში, არამედ პოლიტიკურშიც შავგულიძეს ეუბნება, რომ გირგვლიანის საქმის ადვოკატი იყავი და ახლა იმ ჯგუფთან თანამშრომლობ, ვინც კანონების შეცვლით არ გაძლევდა სამართლის მიღწევის შესაძლებლობასო. ეს რა კრიტერიუმი ან არგუმენტია?

– იცით რა? როცა უსინდისოდ იქცევი, ყველაფერი მოსულა. არ შეიძლება ამ გამონათქვამების კონტექსტში რაიმე კრიტერიუმებზე ვიფიქროთ. რა კრიტერიუმებში ჯდება ასეთი საჯარო სიტყვა-პასუხი. ამაზე არ შეიძლება ვიფიქროთ, რა კრიტერიუმებით შეიძლებოდა ეს ეთქვა მურუსიძეს. იმიტომ, რომ კაცი გასულია ზნეობის ჩარჩოებიდან. გასულია პროფესიული ეთიკის ჩარჩოებიდან. გასულია ადამიანური ეთიკის ჩარჩოებიდან. ამ დროს რაიმე კრიტერიუმებზე საუბარი აბსოლუტურად ზედმეტია.

როგორც მე და თქვენ არ ვიმსჯელებთ მოდის საკითხებზე. იმიტომ, რომ მე ნამდვილად არ ვარ კომპეტენტური ამ სფეროში და თქვენც იცით, რომ არ ვარ კომპეტენტური, ამიტომ ამაზე კითხვას არ დამისვამთ. დაახლოებით იგივეა მურუსიძე, როდესაც შავგულიძეს დებატებში უჯდება და ასეთ საკითხებზე ბაასობს.

– მურუსიძის კარიერაზეც უნდა გკითხოთ. მისი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მისი კარიერა დასრულებულია თუ მას გრძელვადიან პერსპექტივაში შევხედავთ?

– დასრულებულია? რას ბრძანებთ, სამუდამოდ არის გამწესებული სასამართლოში. რანაირად უნდა ვთქვათ, რომ დასრულებულია.

– გრძელვადიან პერსპექტივაზე გეკითხებით და არა უახლოესი პერიოდზე.

– იცით რა არის? მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმიზმის პირობებში შეიძლება ვიფიქროთ, რომ მურუსიძე და ძმანი მისნი დატოვებენ იმ სკამებს, რომელიც სამუდამოდ დაიკავეს. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ხელისუფლების რადიკალური ცვლილება. თუ მართლაც დემოკრატიული ხელისუფლება მოვა ქვეყნის სათავეში. სხვაგვარად ეს წარმოუდგენელია.

ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თქვენ რა გგონიათ, ნაცმოძრაობა რომ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, ვინმე მურუსიძეს წყალს შეუყენებს. ან „ოცნებამ“ რომ გააგრძელოს პარპაში, როგორც დღეს პარპაშებს, ვინმე მის კარიერას ხელს შეუშლის?! არავითარ შემთხვევაში.

მურუსიძისნაირებს იმის განცდა, რომ ისინი იქნებიან დიდხანს, აქვთ ეს განცდა, თორემ იმას ვერ გაბედავდნენ, რასაც ისინი ბედავენ. მათ გარიგება დადებული აქვთ პოლიტიკურ წრეებში, ამ გარიგებაზე სისხლით აქვთ ხელი მოწერილი და სინდისი და ნამუსი მიყიდული აქვთ ამ გარიგების ფარგლებში.

– ასე გგონიათ, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში, ისევ გადაიბარებს ამ მოსამართლეებს?

– რა თქმა უნდა. უფრო სწორად ის გააგრძელებს თავის სამსახურს ისე, რომ არაფერს არ შეიმჩნევს. უკაცრავად, მაგრამ როდესაც რადიკალურად შეიცვალა ხელისუფლება, სასამართლო კორპუსში რამე შეიცვალა?! არაფერი! მურუსიძისთვის ნამდვილად არაფერი არ შეცვლილა. ის, პირიქით, დაწინაურდა.

„როგორც მე, ადვოკატი ქალი არ უნდა გამოვიდე სილამაზის კონკურსზე და ჩემი ფიზიკური მონაცემების დემონსტრირება არ დავიწყო, ისეა მოსამართლე, როდესაც წინასაარჩევნო პროცესის დროს გამოდის და აკეთებს ასეთ პოლიტიკურ განცხადებებს. ასეთი უხეში შედარებაც კი შეიძლება მოვიყვანოთ იმის საილუსტრაციოდ, რა უადგილო და უსაფუძვლოა მურუსიძის საქციელი და მისი საჯარო განცხადებები“

ღმერთმა დაგვიფაროს ამ წყევლისაგან, მაგრამ მე ველოდები, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში, მურუსიძე დარჩება და შეინარჩუნებს თავის სკამს.

– ანუ, გამოდის, რომ რეალური გამოსავალი არ გვაქვს დღევანდელი გადმოსახედიდან?

– რეალური გამოსავალი გვაქვს, 2020 წლის არჩევნებზე ხმა მივცეთ ნამდვილად ლიბერალურ და დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ამ ქვეყანაში ეს უმსგავსობა უნდა დაასრულოს.

– თუმცა, ვხედავთ, რომ ასეთ ძალას არ აქვს ისეთი რეიტინგი, რომელსაც არსებული რეალობის შეცვლის შესაძლებლობა აქვს.

– 2020 წლამდე საკმარისი დროა და მე მგონია, რომ არ დაგვტოვებს ღვთისმშობელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მფარველია. თორემ ადამიანთა გონიერების და ადამიანთა შორს მხედველობის ნაკლებად მჯერა. ღვთის წყალობა იქნება, რომ ამ სიტუაციიდან როგორმე გამოვიდეთ.

„2020 წლამდე საკმარისი დროა და მე მგონია, რომ არ დაგვტოვებს ღვთისმშობელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მფარველია. თორემ ადამიანთა გონიერების და ადამიანთა შორს მხედველობის ნაკლებად მჯერა. ღვთის წყალობა იქნება, რომ ამ სიტუაციიდან როგორმე გამოვიდეთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კახა კუკავა: „ვადამდელი არჩევნები ნიშნავს რევოლუციას“

ვები აქვს ივანიშვილისადმი მიძღვნილი. ასე არიან სხვებიც და ამ ფონზე ძალიან დიდი კონტრასტია გახარიასთან, რომელიც საერთოდ არ თვლის ამას საჭიროდ და ამ ფონზე თავი საკმაოდ ღირსეულად უჭირავს ამ თვალსაზრისით.

– იმაზეც საუბრობენ, რომ ივანიშვილს წასვლა უნდა და საამისოდ გზებს ეძებსო. ამ ვერსიაზე რას ფიქრობთ? რამდენად სარწმუნოა?

– ივანიშვილი წასვლას ეძახის იმას, ახლა რა მდგომარეობაშიც არის, რომ ის არ არის სახელმწიფო პოზიციაზე. მე ძალიან დიდხანს მარწმუნებდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, როცა კვირიკაშვილი იყო პრემიერი იმ პერიოდში, რომ ივანიშვილი წასულია, საერთოდ არაფერში არ ერევაო. თუმცა მერე ვნახეთ, როგორ წამოსცდა საუბრებში ივანიშვილს, თურმე ანაკლიის პორტიც თვითონ გადაუწყვეტია, ჩხარტიშვილის და ხაზარაძის დავაც თვითონ გადაუწყვეტია, ალავიძის და ქუმსიშვილიც მოხსნაც. ეს კაცი წასვლას იმას ეძახის, რომ მთავრობაში არ იქნება ოფიციალურად, ხოლო თუ რაღაც ხდება, მან უნდა გადაწყვიტოს. მისი სურვილია, დარჩეს როგორც მთავარი აქციონერი ამ სააქციო საზოგადოების, რასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია, უბრალოდ, დირექტორთა საბჭოში არ იქნება, რაც არის მცდარი ნაბიჯი. ის მაინც ვერ აიცილებს ხალხის რისხვას. თუ უნდა, რომ ჰაველივით წავიდეს, შეინარჩუნოს მილიონებიც და ადამიანური სახეც, მაშინ დამირეკოს, შევხვდები და ვასწავლი, როგორ უნდა წავიდეს. ხოლო ლაშა ნაცვლიშვილი რომ ჰყავს მრჩევლად, ის ისეთ წასვლას მოუწყობს, როგორიც ედუარდ შევარდნაძეს მოუწყო.

– და თუ მაინც წავიდა „ოცნება“ ვადამდელ არჩევნებზე, ეს ოპოზიციისთვის რამდენად ხელსაყრელი იქნება? რამდენად მზად ხართ ამისთვის?

– რა ვითარებაც დღეს საქართველოშია, არჩევნები ოპოზიციისთვის ხელსაყრელი არ არის არასდროს. ეს სისტემა მთლიანად მორგებულია ხელისუფლებაზე, მით უფრო, როცა ეს ტარდება უცბად, აქ ოპოზიცია კიდევ უფრო ზარალდება. თუმცა ეს ხელისუფლებს ვერ უშველის. ის, რასაც ხელისუფლება გეგმავს, რომ როგორმე ისევ უმრავლესობით მოხვდეს პარლამენტში, ეს არის რევოლუცია! თუნდაც წააგოს ოპოზიციამ, ვერ მოემზადოს ამ არჩევნებისთვის კარგად, ეს არის რევოლუცია! არჩევნების გაყალბების სქემა მაშინ მუშაობდა კარგად, როცა ოცნებას 30% თავისით აძლევდა ხმას და 15-20%-ს რაღაცნაირად იპარავდნენ. ხოლო როცა 10% გიჭერს მხარს და 90% გაქვს გასაყალბებელი, ეს ხომ ვნახეთ, შევარდნაძის შემთხვევაში რითაც დასრულდა?! ეს უნდა ესმოდეს ამ ხელისუფლებას, რომ დღევანდელ სიტუაციაში, მცდელობა ნებისმიერი ტექნოლოგიის გამოყენების ხელისუფლების გახანგრძლივებისა, გამოიწვევს რევოლუციას! რევოლუციის დროს კი არავის არ აინტერესებს, რა ციფრებს დადებს ცსკ-ო.

რომან გოცირიძე: „ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი შეიძლება დადგეს“

ნონა ცაბაძე

ბოლო დღეებია, სალომე ზურაბიშვილი საკუთარი განცხადებების და ქმედებების გადამკიდე არაერთ სკანდალში გაეხვა. რა შეცდომებს უშვებს ზურაბიშვილი და რას მოითხოვს მისგან ოპოზიცია? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, ოპოზიცია მკვეთრად უტევს საქართველოს პრეზიდენტს, როგორია თქვენი შეფასებები მის ქმედებებთან და განცხადებებთან დაკავშირებით?

– ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი უკვე გახდა ქვეყნისთვის მოსიარულე საფრთხე. სად არ წავა, უკვე ყველგან გულის ფანცქალით ველოდებით, რაიმე არ მოიმოქმედოს, ან ისეთი განცხადება არ გააკეთოს, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესებისათვის საზიანო. ახლა ჩადის პოლონეთში და არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ კვლავ რაიმე გაუგებრობას არ ექნება ადგილი.

– რა გაუგებრობებს გულისხმობთ?

– აგერ ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოჩნდა ლიტვაში მისი ვიზიტისას გაკეთებული განცხადებები ამერიკის ხმაზე, რომ საქართველოში არ არის საჭირო ამერიკის სამხედრო ბაზა, რადგან ეს ეწყინებათ რუსებს და ტერორისტებს. ეს არის გამეორება რუსული პროპაგანდისა, რომელიც არაერთხელ მოგვისმენია, მათ შორის რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ. სწორედ მათი მხრიდან ხდებოდა შანტაჟი და მუქარა საქართველოს ხელისუფლების მიმართ. გვახსოვს, როგორ ისტერიკაში ჩავარდნენ რუსები, როდესაც საქართველოში პირველად გამოჩნდა ამერიკელი ჯარისკაცი და როცა პირველი გემი შემოვიდა.

ახლა გადის დრო და ნატოს ეგიდით საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი წვრთნები მიმდინარეობს და რუსეთმა მშვენივრად გადაყლაპა ეს.

– თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე აშშ-ის სამხედრო ბაზის აშენების საკითხი დღის წესრიგში არც დგას.

– თუ საქართველომ არ დააყენა დღის წესრიგში მსგავსი საკითხი, რა თქმა უნდა, არც დადგება, მაგრამ პრეზიდენტი გადაჭრით ამბობს, რომ ეს არ არის კარგი ქვეყნისთვის, რადგან ეს არ უნდა რუსეთს.

ეს განცხადება არის არაკონსტიტუციური, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტს არა აქვს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და ისაუბროს მის მნიშვნელოვან საკითხებზე. ნატოს წევრობა კი კონსტიტუციით არის დაფიქსირებული და დამტკიცებული. ამიტომ მსგავსი საკითხები შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან. უფრო მეტიც, საქართველოს პრეზიდენტს არა აქვს უფლება, გამოსცეს ნორმატიული აქტი, თუ ეს ასევე არ იქნება შეთანხმებული საქართველოს პრემიერ-მინისტრთან.

– სალომე ზურაბიშვილი არავის უთანხმებს საკუთარ განცხადებებს.

– დიახ, გამოდის, რომ ზურაბიშვილი აკეთებს ისეთ განცხადებებს, ან ისეთ საკითხებზე საუბრობს, რომლებიც შესაძლებელია, რომ განსხვავებული იყოს საქართველოს მთავრობის პოზიციისაგან.

– მთავრობის პოზიცია ჯერ უცნობია?

– უცნობია და ამიტომ საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გასცეს პასუხი და

განმარტოს ის განცხადება, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა, არის თუ არა მთავრობის პოზიცია და რა დამოკიდებულება აქვს საქართველოს მთავრობას მომავალში ამერიკის სამხედრო ბაზის შექმნასთან დაკავშირებით.

ეს არ ნიშნავს იმა, რომ ეს დღეს და ხვალ მოხდება, ეს ძალიან რთული პროცესია და დამოკიდებულია არა მხოლოდ ქართული მხარის, არამედ ამერიკის სურვილზეც. აგერ პოლონეთი, რომელიც არის შუაგულ ევროპაში, ითხოვს ამერიკის სამხედრო ბაზის შექმნას და საკმაოდ დიდ ფინანსურ წვლილს გაიღებს ამ მიზნის განვითარებაში. პოლონეთიც კი არის დაინტერესებული, რომ საკუთარი უსაფრთხოება ამ ფორმით უზრუნველყოს. ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც პოლონეთში ჩადის ვიზიტად, ალბათ პოლონელებს დაარიგებს ჭკუას, რომ არ შეიძლება ამერიკული ბაზების შექმნა და რუსეთის გაღიზიანება.

– უკვე ღიად ალაპარაკდნენ ზურაბიშვილის იმპიჩმენტზე, დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში?

– თუ ასე გააგრძელა, მოუწევს. მხოლოდ ოთხი თვეა, რაც პრეზიდენტია და რამდენ შარში გაეხვა. ორი დღის წინ ტრამპის წერილის გადატანის გამო გაეხვა სკანდალში, რომელსაც ტექნიკურ პრობლემად ასაღებენ. მანამდე ცდილობდნენ რიგითი თანამშრომლისთვის გადაებრალებინათ და სხვა დაესაჯათ. იმდენად უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რომ ბოლოს დააბრალეს ჰაკერებს. თითქოს გარედან ჩაუდეს ეს ტექსტი და გამოძიება დაიწყო, ხომ არ იყო ეს ჰაკერული შეტევა.

რაც უნდა გამოიგონონ და შეეცადონ, სხვას გადააბრალონ, ფაქტია, რომ პრეზიდენტი ყველგან ყველაფერს აფუჭებს. ასევე ძალიან გაურკვეველია, რა მოხდა თავით გარეჯთან დაკავშირებით.

– ესეც სალომე ზურაბიშვილის სახელს უკავშირდება?

– გაურკვეველია, რა მოხდა. 2012 წლის შემდეგ არანაირი ინციდენტი არ ყოფილა და ორი მესაზღვრე იდგა საზღვართან. ასეთი იყო შეთანხმება, რომ იქ პრობლემა არ უნდა გამწვავებულიყო. ვერ გეტყვით, ეს პირდაპირ კავშირშია სალომე ზურაბიშვილის ვიზიტთან აზერბაიჯანში, ან მერე დემონსტრაციულად ჩასვლა დავით გარეჯში, ყველას აქვს იქ ჩასვლის უფლება, მაგრამ ასეთი დემონსტრაციული ფორმით, რომ აი, მე მოვედი და ახლა აქ გავავლოთ საზღვარი, დიდი შეცდომაა.

ამერიკა და რუსეთი კავკასიისთვის ბრძოლას აააქტიურებენ

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთი აგრძელებს პოზიციების გამყარებას სამხრეთ კავკასიაში. აშშ-სა და რუსეთის დაპირისპირების და კონკურენციის არეალია ცენტრალური აზია და სამხრეთი კავკასია.

კრემლს უნდა, რომ კავკასიის ქვეყნებში თავისი ინტერესების გამტარებელი ხელისუფლებები ჰყავდეს. ბოლო დროს რეგიონში გააქტიურებულია აშშ, რომელიც რუსეთს ბევრი გეგმის გატარების საშუალებას არ აძლევს.

გარეგნული ნორმალური კონტაქტების მიუხედავად, მოსკოვს თავის ტკივილად ექცა სომხეთის ახლანდელი ხელისუფლება. კრემლს სომხეთში გადატრიალება ანყობს. გამოადგება თუ არა ამ საქმეში დაშნაკცუტუნი, უცნობია. როგორც ირკვევა, პარლამენტის გარეთ მყოფ დაშნაკცუტუნს ხალხის უკმაყოფილების ზრდის იმედი აქვს. დაშნაკცუტუნი ფაშინიანის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას გეგმავს. ამ მიზნით ის გაურიგდა ორ საპარლამენტო ფრაქციას. თუ ისინი ერთი დღით უარს იტყვიან თავიანთ მანდატებზე, ქვეყანაში შეიქნება ხელოვნური კრიზისი და გადატრიალების წინაპირობა.

ევროპელი ანალიტიკოსების დასკვნით,

მთავარი გეოპოლიტიკური თამაშები რუსეთის საზღვრებთან მიმდინარეობს.

ამერიკელი ექსპერტები ერთ-ერთ მძლავრ და საშიშ მოთამაშედ სულ უფრო ხშირად ასახელებენ ჩინეთს, რომელიც რამდენიმე წელია, რუსეთთან და ირანთან ერთად მიჩნეულია საფრთხედ ვაშინგტონისათვის.

ჩინეთი საქართველოსთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან კარგა ხანია ცდილობს დაახლოებას, ოღონდ გეოპოლიტიკური პრობლემების გარეშე.

დღეს ამერიკელი ანალიტიკოსები საგანგაშოდ აცხადებენ ჩინეთის ამბიციებს რეგიონში. ეს უკვე გამოჩნდა ცენტრალურ აზიაში, რომლის გაგრძელებად ითვლება სამხრეთ კავკასია.

რუსეთის ეკონომიკა უძრაობის მდგომარეობაშია, ჩინეთი კი თავის ეკონომიკას აძლიერებს. ამ პირობებში ის განდევნის რუსეთს რეგიონიდან.

ჯერჯერობით, პეკინს ეჭვის თვალით უყურებს ყირგიზეთი, სადაც რუსული გავლენა უძლიერესია. ჩინეთი ყირგიზეთს ინვესტიციებს სთავაზობს, რუსეთი კი დასაქმებას. თუ ამოქმედდა რუსეთ-ჩინეთის პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, ვაშინგტონისათვის ყირგიზეთი სამუდამოდ დაკარგულია.

მოსკოვსა და პეკინს დასავლეთი ბრალად სდებს შეჭრას ისეთ ზონაში, როგორიცაა კარიბის ზღვა. ამ მიდამოებში კრემლის გავლენა დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა რუსეთი გასცდეს ისტორიულ კავშირებს კუბასა და ნიკარაგუასთან, ასევე სამხედრო სფეროში ვენესუელასთან, მექსიკასთან, პერუსა და სხვებთან თანამშრომლობას.

გეოპოლიტიკურ სიტუაციას ძაბავს სხვა სახელმწიფოების არჩევნებში რუსეთის ჩარევის თემა, რომელიც დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამერიკელი უსაფრთხოების სპეციალისტები კრემლის ჩარევის მცდელობას მოელიან 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. მათი აზრით, 2016 წელს ამერიკის საარჩევნო პროცესში რუსეთის მონაწილეობა რუსეთის გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილი იყო. რუსეთის მოქმედებებს უარყოფს ან აკნინებს პრეზიდენტი ტრამპი. უსაფრთხოების სპეციალისტები მას არ ეთანხმებიან.

შექმნილი სიტუაცია რთულია საქართველოსთვისაც. როგორც ჩანს, ჩინეთი საქართველოსთან იმაზე მეტად ცდილობს დაახლოებას, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. საქართველოს განათლების რეფორმის თანახმად, მალე ჩინური ენა საქართველოს სკოლებში სავალდებულო საგანი ხდება.

ქვეყნები, სადაც საქართველოდან ყველაზე მეტი ფული გადაირიცხა

2019 წლის 3 თვეში საქართველოდან უცხოეთში 51,77 მლნ დოლარი გადაირიცხა, საიდანაც ყველაზე მეტი რუსეთზე მოდის. 3 თვეში ჩრდილოეთ მეზობელ ქვეყანაში 17,7 მლნ დოლარის ფულადი გზავნილი განხორციელდა, რაც მთლიანი გადარიცხვების 34,2%-ია. წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ფულადი გზავნილებით მეორე ადგილზეა თურქეთი, სადაც 6,53 მლნ დოლარი გადაირიცხა, მესამე პოზიციაზე კი უკრაინაა, სადაც 2019 წლის 3 თვეში საქართველოდან 6 მლნ დოლარის ფულადი გზავნილი განხორციელდა.

5 ქვეყანა, სადაც 2019 წლის მარტში ყველაზე მეტი ფული გადაირიცხა:

რუსეთი – 6,095 მლნ დოლარი
თურქეთი – 2,624 მლნ დოლარი
უკრაინა – 2,133 მლნ დოლარი
აზერბაიჯანი – 906 ათასი დოლარი
სომხეთი – 567.8 ათასი დოლარი

ცნობისათვის, 2019 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 138,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 18.5 პროცენტით მეტია 2018 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შარშან, მარტში ქვეყანაში 132,4 მლნ დოლარი გადმოირიცხა. რაც შეეხება გადარიცხვებს, წელს მარტში 18,53 მლნ დოლარი გადაირიცხა, რაც თითქმის 2,5 მლნ დოლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2018 წლის მარტში სულ 21,01 მლნ დოლარის ფულადი გზავნილი განხორციელდა.

BPN

იციკ მოშე: „ჩვენთვის ბიზნესი მხოლოდ ციფრები არ არის“

„საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, რომელ სფეროში უნდა, რომ ისრაელიდან ინვესტორები მოიზიდოს“ – ამის შესახებ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტმა იციკ მოშემ ისრაელიდან შემცირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საპასუხოდ განაცხადა. მისივე თქმით, ისრაელში საქართველოს მიმართ განწყობა საკმაოდ დადებითია და საჭიროა ორ ქვეყანას შორის მეტი მუშაობა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ისრაელიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ბოლო 3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. 2018 წელს ქვეყანაში 4,328 მლნ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა, რაც თითქმის 9-ჯერ ნაკლებია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მაშინ ქვეყანაში ისრაელიდან 37,661 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 2,447 მლნ დოლარი შეადგინა, 2017 წელს კი – 6,767 მლნ დოლარი.

– საქართველოში უამრავი პოტენციალია, ისრაელში არის ცოდნა, ფინანსები. საჭიროა მეტი მუშაობა და მჯერა, რომ შესაძლებელია დავუბრუნდეთ იმ ნიშნულს, რომელიც იყო 10 წლის წინ და ისრაელი კვლავ საქართველოს მოწინავე პარტნიორი გახდეს, – განაცხადა იციკ მოშემ.

მან ასევე არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პრობლემების მოგვარებას ინვესტორები მუშაობის პარალელურად ცდილობენ.

– რა თქმა უნდა, გამოწვევების ასეთი დიდი რაოდენობაა ინვესტორების რაოდენობის პრობლემასაც ქმნის. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჯერ პრობლემებს მივხედოთ და შემდეგ გავაგრძელოთ ინვესტირება, ვმუშაობთ პარალელურად. დილით შევხვდით ბიზნესმბუდსმენს და სამი ინვესტორის პრობლემა განვიხილეთ. საქმე ეხება მცხეთაში, სადაც რაღაც მონაკვეთებზე მშენებლობა იკრძალებოდა და ამჯერად ახალი გეგმარება კეთდება, ასევე დიღომსა და თბილისის ზღვაზე მშენებლობასთან დაკავშირებით, ავიღეთ ერთი თვის ვადა ამ საკითხების გადასაჭრელად და მჯერა, რომ გამოსავალს გამოვნახავთ – იქნება ეს მიწის ნაკვეთის შეცვლა თუ სხვა ალტერნატივა, იმისთვის, რომ ინვესტორებმა მუშაობა განაგრძონ. ორი სასტუმრო უკვე შენდება და ნებართვების აღების შემდეგ 3

ახალი სასტუმროს მშენებლობა დაიწყება.

ჩვენთვის ბიზნესი მხოლოდ ციფრები არ არის. საქართველო-ისრაელის ურთიერთობები ორი მეგობარ ქვეყანას შორის ეკონომიკური ხიდია, – განაცხადა იციკ მოშემ.

მისივე განმარტებით, საქართველო-ისრაელის რიგით მეოცე ბიზნესფორუმს 100-მდე ისრაელური კომპანია ესწრება, რაც გზავნილია სხვა ინვესტორებისთვის, რომ საქართველოში შეიძლება ბიზნესის გაგრძელება. ამასთან, ისრაელის წვლილი ქართულ ეკონომიკაში თითქმის 1 მლრდ დოლარია, საიდანაც ნახევარი – კერძო ინვესტიციებზე, ნახევარი კი ტურიზმზე მოდის.

BPN

ნიკა მელიამ ზაზა პაპუაშვილი გალახა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ტრადიციებს აგრძელებს – დეპუტატები ერთმანეთში საქმეს მუშტი-კრივით არჩევენ.

პარლამენტში გლადიატორთა შერკინებები ძირითადად პლენარულ სხდომაზე იმართებოდა. ერს საშუალება ჰქონდა, ამ ყველაფრისთვის პირდაპირ ეთერში ეცქირა. გუშინ, 1 მაისს მომხდარი ჩხუბი კი მხოლოდ ვიწრო წრემ იხილა. ნიკა მელია და ზაზა პაპუაშვილი ერთმანეთს პარლამენტის ეზოში შეებნენ.

ამის შესახებ მედიამ მაშინ შეიტყო, როცა შენობაში შესული ცხვირიდან სისხლმდინარი ზაზა პაპუაშვილი იხილა. ის ჯერ იქეთ ჩაეკითხა მედიას, რა ხდებაო, მერე კი მოყვა ამბავს.

მედიასთან კომენტარი მცემელმა ნიკა მელიამაც გააკეთა.

– ბევრი რამ შერჩა ზაზა პაპუაშვილს და არ ვაპირებ ამ დეპუტატად წოდებული პაპუაშვილის ლანძღვა-გინების მოთმენას, რომელსაც ადგილი აქვს დღენიადაგ, – განაცხადა მედიასთან საუბარში.

მან, მართალია, პაპუაშვილის ცემა დაადასტურა, მაგრამ დეტალებზე საუბარი არ ისურვა.

– ეს მართლაც ივანიშვილის კალთას ამოფარებული პაპუაშვილი. ერთი სიკეთე მაინც რა გაუკეთებია? ორი მოწვევის პარლამენტის წევრია. მთაწმინდის მაჟორიტარი იყო – ერთი მთაწმინდელი მანახეთ, ვინც იტყვის, რომ მისი სადეპუტატო უფლებამოსილება შეასრულა. ახლა დიდუბეში გახდა. მაგის საკრიტიკებელი ვინ არის, – აღნიშნა მელიამ.

მართალია პაპუაშვილს სისხლი სდიოდა, მაგრამ თავს ნაცემად არ თვლიდა. ამტკიცებდა, მელიამ მისაღები მიიღოო.

მელიასგან განსხვავებით, მან დაპირისპირების დეტალები გაამხილა. თუმცა დიდად მჭერმეტყველი არც ის ყოფილა.

მისი თქმით, ჩხუბი იმიტომ დაიწყო, რომ მელიას საარჩევნოდ თემების აწევა უნდა.

– მაგის საკრიტიკებელი ვინ არის. რაც არის და ვინც არის ნიკა მელია, მიკროფონთან საუბარი რად გინდათ, ქცევით არ იცით? გამოიწვია ის, რომ ეს მომხდარიყო – მიკროფონები და კამერა.

რაც მისაღები იყო, მიიღო და კიდევ მიიღებს ამ უზრდელობის და უტაქტობის გამო. არჩევნები ახლოვდება და თემების აწევა უნდა, – განუცხადა ჟურნალისტებს პაპუაშვილმა.

ანაკლიის სააგენტოს ხელმძღვანელი – ბანკებთან კომუნიკაცია არ შეწყვეტილა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელის, დავით ჯავახაძის ინფორმაციით, მთავრობას, ინვესტორსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის მოლაპარაკებები დიდი ალბათობით, მაისში გაიმართება.

– ამ ეტაპზე, როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მოლაპარაკება მთავრობას, ინვესტორსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის საინვესტიციო შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ფინანსური დახურვის მიღწევა. არ შეწყვეტილა კომუნიკაცია ბანკებთან, ეს შეეხებოდა დაზუსტებებს სხვადასხვა ძირითად საკითხთან დაკავშირებით. ეს იყო კომუნიკაცია მთელი აპრილის და მარტის განმავლობაში, – აღნიშნა ჯავახაძემ.

რაც შეეხება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის შესაძლო გახანგრძლივებას, ჯავახაძის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება სამთავრობო კომისიამ უნდა მიიღოს.

მოქმედი ხელშეკრულებით, კონსორციუმმა ანაკლიის პროექტის დაფინანსებისთვის საჭირო თანხები ივნისის ბოლომდე უნდა მოიძიოს.

ანაკლიის პორტის პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა მთავრობას რამდენიმეპუნქტიანი პირობა წარუდგინეს.

ltg

პაატა ბაირახტარი: „ევრო 5 ხარისხის საწვავი ადგილობრივ ნავთობკომპანიებს აქამდეც შემოჰქონდათ, ბაზარზე მკვეთრ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ“

– საწვავის ხარისხი ევრო 5-ზე უნდა ავიყვანოთ და სხვა დაბალი ხარისხის საწვავს ქვეყანაში შემოსვლის შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ. რა თქმა უნდა, ამ საკითხს მე დავაყენებ და ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მივიღებ, – საწვავის კონტროლი თბილისის მერმა კახა კალაძემ დღეს მთავრობის სხდომაზე დააანონსა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რა შეიცვლება ბაზარზე საწვავის ხარისხის ევრო 5-ზე გადაყვანის შემდეგ და აისახება თუ არა ცვლილება ფასებზე – ამ თემაზე ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) ვიცე-პრეზიდენტ პაატა ბაირახტარს ვესაუბრეთ.

როგორც ბაირახტარი განმარტავს, ევრო 5 ხარისხის საწვავი ადგილობრივ ბრენდულ ნავთობკომპანიებს აქამდეც შემოჰქონდათ და დღესაც ყიდიან. ამით თავს ხშირად იწონებენ კიდეც. შესაბამისად, ბაზარზე მკვეთრ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, ამიტომ, ჩემი აზრით, ახალ კანონს უფრო ფორმალური დატვირთვა ექნება.

– დღეს საწვავის ხარისხს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აკონტროლებს. თუმცა არსებული სტანდარტების მიხედვით საავალდებულო არ არის ევრო-5-ის საწვავის შემოტანა. შესაბამისად, აღნიშნული უფრო კერძო კომპანიების კეთილნებაზეა დამოკიდებული. უბრალოდ, შეიძლება დავუშვათ, რომ არაბრენდულ ნავთობკომპანიებს შეიძლება უფრო დაბალი ხარისხის საწვავი შემოჰქონდეთ და რეგულაციაც უფრო მათზე აისახება. რეალურად კანონის შემოღებით, ნავთობპროდუქტი საზღვარზე გაკონტროლდება, ანუ საბოლოოდ მაინც უფრო ფორმალური მხარე აქვს ამ ყველაფერს.

კითხვაზე, საწვავის ევრო 5-ზე გადაყვანა აისახება თუ არა ფასებზე, პაატა ბაირახტარის მტკიცებით, ეს შეუძლებელია. სხვა საკითხია, ბრენდული ნავთობკომპანიების მიერ აქამდე გაკეთებული განცხადებები:

– აქამდე ნავთობკომპანიები მუდმივად აპელირებდნენ, რომ მათი პროდუქტი ევრო 5-ის ხარისხისაა და თუ მართლა ასეა, მაშინ საწვავი ნამდვილად არ გაძვირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ გვატყუებდნენ.

რაც შეეხება, ხარისხის დონეს, ევრო 5-ის შესაბამისი საწვავი საერთაშორისო ბაზარზე შედარებით მაღალ სტანდარტს გულისხმობს. ანუ პროდუქტში გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებები (ტყვია და ა.შ.) შედარებით ნაკლებია.

– არსებობს ევრო 5-ზე უფრო მაღალი სტანდარტებიც (ევრო 6 ან ევრო 7) და ყველა მათგანში დონეების მიხედვით ნაკლებია მავნე და საშიში ნივთიერებების რაოდენობა. შესაბამისად, ნაკლებად ზიანდება გარემოც და ტექნიკაც. მაგალითად, ევროპაში ძირითადად მოიხმარენ ევრო 6-ის ხარისხის დონეს, ევრო 7-ის შემოღება კი დაგეგმილია 2025 წელს. საქართველოსთვის ორივე სტანდარტი ძალიან შორეული პერსპექტივაა და ამას ათეული წელი დასჭირდება. თუმცა ევრო 5-ის საწვავიც საკმაოდ კარგია, – ამბობს პაატა ბაირახტარი.

შეგახსენებთ, საწვავის ევრო 5-ზე გადაყვანის ვალდებულება თბილისის მერმა დააანონსა.

კომერსანტი

„კახა კალაძე „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტრაგედიაა. ეს არის ადამიანი, რომელმაც ენერგეტიკის მინისტრობის დროს გაზპრომთან კაბალური შეთანხმება გააფორმა. რუსეთმა მისი წყალობით მიიღო ის, რის მიღწევასაც მოსკოვი წლების მანძილზე ცდილობდა.

ენერგოდამოუკიდებლობა თუ ვინმემ დააზიანა, ეს არის კახა კალაძე და ცოტა სასაცილოა, როცა ეს ადამიანი ვინმესკენ ხელს გაიშვერს.

სპეცრაზმით ჰესებს არავინ აშენებს და გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულებაც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. ეს კიდევ ერთხელ მაფიქრებინებს, რომ პანკისში პოლიცია არეულობის მოსაწყობად შეიყვანეს, რასაც მერე რუსეთი თავისი ინტერესებისთვის გამოიყენებდა.

„ქართული ოცნება“ საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებს. ამაზე მარტო საგარეო ვალი მეტყველებს. 2012 წლისთვის საგარეო ვალი 9 მილიარდი იყო, ახლა ის 20 მილიარდამდეა გაზრდილი.

ეს ციფრებიც კარგად მეტყველებს იმაზე, რომ ეს ადამიანები ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ. 11 მილიარდი ასე თუ ისე რამეს უნდა დასტყობოდა. ქვეყანას არაფერი არ ეტყობა, სამაგიეროდ, „ოცნების“ ჩინოსნები გამდიდრდნენ.

ამის პარალელურად მიდის სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლა. საქართველოს მიაქანებენ უფსკრულისკენ. ეს არის პირდაპირ რუსეთის დაკვეთა, რომლის ინტერესშიც ფეხზე მდგარი საქართველო არ შედის. ჩამორჩენილი საქართველოს ხელში ჩაგდება უფრო იოლია, ვიდრე განვითარებულის.

ივანიშვილი და მისი გარემოცვა ერთი ხელით ფულს შოულობს, ხოლო მეორე ხელით საქართველოს რუსეთს აბარებს. მათ ხელში ისე დაჩაჩანაკდა ეს ქვეყანა, რომ ვისაც როგორც უნდა, ისე მიაქვს ჩვენი ტერიტორიები.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები მაისში პასპორტებს უფასოდ მიიღებენ

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, პირველი მაისიდან პირველ ივნისამდე მიმდინარე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტებს უფასოდ მიიღებენ. ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

– პასპორტის უფასოდ მიღება მნიშვნელოვანი შეღავათია უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეებისათვის. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან და ვადაგასული პასპორტი აქვთ, ვერ ახერხებენ საზღვრის გადაკვეთას და სხვა სამართლებრივი პროცედურების შესრულებას, მათ შორის, საარჩევნო უფლების რეალიზაციას. იუსტიციის სამინისტროს აქციით სარგებლობა ამ პრობლემებსაც გადაჭრის, – აღნიშნულია იუსტიციის სახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, მიმართონ საზღვარგარეთ საქართველოს

დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ან საკონსულო დაწესებულებებს.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ მყოფ 12-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს და სრულწლოვან პირებს, თუ ერთხელ მაინც აქვთ მიღებული საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი, მათი ბიომეტრიული მონაცემების ხელმეორედ გამოყენება შესაძლებელია. ახალი ბიომეტრიული პასპორტის გაცემის მიზნებისათვის, შეუძლიათ, სახლიდან გაუსვლელად დაუკავშირდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურს და ელექტრონული ფორმით გააკეთონ განაცხადი ბიომეტრიული პასპორტის მიღების თაობაზე.

კომერსანტი

1-ელი ივნისიდან ახალი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თამბაქოს ბიზნესი დაჯარიმდება

31 მაისიდან თამბაქოს ბიზნესისთვის ახალი ვალდებულება ამოქმედდება.

კერძოდ, 31 მაისიდან სავალდებულო ხდება, რომ თუთუნის, ელექტროსიგარეტის ან სხვა ნებისმიერი სახის თამბაქოს პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანამდე, 3 თვით ადრე მწარმოებელმა ჯანდაცვის სამინისტროში უნდა წარადგინოს ყველა ინფორმაცია ამ თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის და მისი ქიმიური დანამატების შესახებ.

მსგავსი ინფორმაციის წარდგენა ქვეყანაში შემოსულ ყოველ პარტიაზე სავალდებულო იქნება. თუ მეწარმე ამ მოთხოვნას არ შეასრულებს ან არასრულად წარადგენს ინფორმაციას, კანონით საჯარიმო სანქციაა გათვალისწინებული.

კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ბაზარზე განთავსებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლობა (მათ შორის, გამოფრქვეული ნივთიერებების რაოდენობის ან მათი სხვა პარამეტრის ცვლილების შემთხვევაში) და თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების (კერძოდ, ინგრედიენტების ჩამონათვალის, რაოდენობისა და წონის) თაობაზე ინფორმაციის წარუდგენლობა (მათ შორის, ინგრედიენტების რაოდენობის ან მათი სხვა პარამეტრის ცვლილების შემთხვევაში) - მწარმოებლის 5.00 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.



ბპნ

იური სუსლიაკი პროკურორ თეა გიორგაძეს სასამართლოში უჩივის

– ჩვენ გვაქვს დიდი და მეგობრული ოჯახი, ზუსტად ისეთი, როგორზეც მე და ჩემი მეუღლე ვოცნებობდით, ჩვენ გვყავს ბევრი შვილი, რომლებიც ცხოვრობენ სითბოში, სიყვარულსა და მზრუნველობაში.

ამის შესახებ ტრეფიკინგში ბრალდებული იულის სუსლიაკის მეუღლემ, იური სუსლიაკმა განაცხადა.

როგორც სუსლიაკმა ჟურნალისტებთან „სკაიპით“ საუბრისას თქვა, ის აფხაზეთში ოჯახზე ადრე ჩავიდა, რათა წინასწარ ეპოვნა სახლი და სამსახური.

– მე ადრე ჩავედი აფხაზეთში, აფხაზეთში ვიპოვე სამსახური და სახლი, რომელშიც იცხოვრებდა ჩემი ოჯახი და ველოდებოდი ჩემს ოჯახს აფხაზეთში. ჩვენ გვაქვს დიდი და მეგობრული ოჯახი, ზუსტად ისეთი, როგორზეც მე და ჩემი მეუღლე ვოცნებობდით. ჩვენ გვყავს ბევრი შვილი, რომლებიც ცხოვრობენ სითბოში, სიყვარულსა და მზრუნველობაში. ეს იყო ჩვენი ოცნება, რომელიც საბედნიეროდ ახდა, – განაცხადა იური სუსლიაკმა.

იგი უარყოფს ყველა იმ ბრალდებას, რომელიც მისი ოჯახის წინააღმდეგ გავრცელდა, მათ შორის ინფორმაციას ბავშვის შესაძლო გაყიდვის ფაქტთან დაკავშირებით. იური სუსლიაკის თქმით, ატეხილი სკანდალი მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურის მხრიდან „უტიფარმა ტყუილებმა“ გამოიწვია.

იური სუსლიაკი საქმის პროკურორის თეა გიორგაძის მიმართ სასამართლოში ჩივილს აპირებს, რადგან, სუსლიაკის თქმით, პროკურორი, მის ოჯახს „ჩირქს სცხებს“.

– ვიდრე კითხვებზე გავცემ პასუხებს, მანამდე მსურს რამდენიმე სიტყვის თქმა, მე ვისაუბრებ, როგორც მამა და როგორც ოჯახის თავი, იმ ოჯახის, რომელიც ამ წუთებში ძალიან მძიმე სიტუაციაში იმყოფება. იმ ოჯახის, რომლის დედაც იმყოფება ციხეში, ხოლო ბავშვები ბავშვთა სახლში.

როდესაც დაიწყო გამოძიება, ჩვენ ვითანამშრომლეთ გამოძიებასთან. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ყველა კითხვა იქნებოდა პასუხგაცემული. 26 აპრილს გამოძიება დაიწყო ჩემი მეუღლის წინააღმდეგ და მას ბავშვებთან კონტაქტი ორდერის საფუძველზე აუკრძალეს და როდესაც დააშორეს ერთმანეთს ჩემი მეუღლე და ბავშვები, მაშინ მივხვდი, რომ მოვლენები არასწორი მიმართულებით მიდიოდა. ყველანაირი მტკიცებულებების და საფუძვლის გარეშე ჰქონდათ ამაზრზენი ეჭვები და მიიღეს ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება, ამიტომ მე, როგორც მამამ, მინდა მთელი სიტუაცია გავხადო საჯარო და გამოვხატო ჩემი პოზიცია საქმის პროკურორის მიმართ.

ახლა ემოციური ვარ, მაგრამ საღ გონებაზე და სრული პასუხისმგებელი იმაზე, რასაც ახლა ვიტყვი. 26 აპრილს მოხდა საშინელი შემთხვევა – სასამართლო პროცესის შემდეგ პროკურორი, ოფიციალური პირი, გამოვიდა და გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია. პროკურორი ირწმუნებოდა, რომ მათ ჰქონდათ დოკუმენტაცია, ერთგვარი მტკიცებულება, რომელიც მათ მოიპოვეს უცხოეთიდან და ამტკიცებს ერთ-ერთი ბავშვის გაყიდვას. პროკურორის რწმუნებით, ეს ფაქტი გახდა მიზეზი ბრალის წაყენების ჩემი მეუღლის მიმართ.

ეს არის უტიფარი ტყუილი, რადგან პროკურატურას მსგავსი დოკუმენტაცია არ გააჩნია. ასევე პროკურორმა თქვა, რომ ბავშვის გარდაცვალების ცნობა არ არსებობს, ესეც უტიფარი ტყუილია. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მსგავს რაღაცებს პროკურორი შეგნებულად ამბობს. პროკურორი ჩირქს გვცხებს და მე, საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ! მე მზად ვარ, რომ მის წინააღმდეგ შევიტანო სასამართლოში სარჩელი და დავამტკიცო, რომ ის იტყუება. მე თხოვნით მივმართავ ჟურნალისტებს და საქართველოს მთავრობას, რომ გაერკვნენ სიტუაციაში, – განაცხადა იური სუსლიაკმა.

ტრეფიკინგში ბრალდებულის მეუღლე გავრცელებულ ინფორმაციასაც უარყოფს, რომლის თანახმადაც, მის მიმართ უკრაინაში საქმე აღიძრა და ძებნაში იმყოფება. ამის საპასუხოდ იური სუსლიაკმა განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და ეს ყოველივე მისი კონკურენტების მხრიდან აგორებული შავი პიარის ნაწილია.

– ჩემ წინააღმდეგ არანაირი საქმე არ არის აღძრული უკრაინაში და მე არ ვიმყოფები ძებნაში. ე.წ. შავი პიარია, რომელსაც ავრცელებდნენ ჩემი კონკურენტები, რომელიც დადასტურებული არ არის და მხოლოდ და მხოლოდ „შავი პიარის“ ნაწილია, – განაცხადა იური სუსლიაკმა.

პატარკაციშვილის მკვლელობის საქმეზე პროკურატურის მოწმეები დაიკითხნენ

ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა.

გუშინ, 1 მაისს, პროკურატურის მოწმეები დაიკითხნენ. მათ შორისაა გამომძიებელი, რომელმაც ერთ-ერთი სახლის ჩხრეკისას მთავარი მტკიცებულება, კერძოდ, ის ვიდეოჩანაწერი აღმოაჩინა, სადაც ბიზნესმენის ლიკვიდაციაზეა საუბარი.

დაიკითხა ამ სახლის მფლობელიც.

გასული წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით, ფარული ჩანაწერები გაავრცელა. ჩანაწერების მიხედვით, კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას გეგმავენ, მათ შორის, ცდილობენ ბიზნესმენის დაცვის წევრის გადაბირებას.

ამასთან, ჩანაწერების თანახმად, პატარკაციშვილის ლიკვიდაცია მიხეილ სააკაშვილის მიერ იყო სანქცირებული.

დიდ ბრიტანეთში პატარკაციშვილის ცხედარს ექსპერტიზა 14 დღე უტარდებოდა. სკოტლანდ იარდის საბოლოო დასკვნით, გარდაცვალების მიზეზი გულის იშემიური დაავადება იყო.

ცოლისა და სიმამრის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს 17 წელი მიესაჯა

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლისა და მეუღლის მამის განზრახ მკვლელობის მცდელობასა და მუქარაში ბრალდებული გ.ჯ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 25 აგვისტოს, გ.ჯ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მეუღლის მამას ს.ს.-ს საცხოვრებელი სახლის დაწვით დაემუქრა და სახლის სხვადასხვა ადგილას ნავთი მოასხა, შემდეგ კი განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს გ.ს.-ს გულმკერდის არეში დანით ერთი, ხოლო მეუღლის მამას ს.ს.-ს ორი ჭრილობა მიაყენა.

გ.ჯ.-მ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო, ვინაიდან დაზარალებულებმა ხმაურზე შეკრებილი მეზობლების მეშვეობით გაქცევა მოახერხეს. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად ს.ს.-ს და გ.ს.-ს გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა გ.ჯ. იმავე დღეს ქ.სამტრედიაში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111-19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 111-151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ორი ან მეტი პირის და ქონების განადგურების მუქარა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ხობში 3 შვილის დედამ თავის მოკვლა სცადა

ხობის მუნიციპალიტეტის მცხოვრებმა ქალმა თვითმკვლელობა სცადა.

„ლაივპრესის“ ინფორმაციით, თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზი, სავარაუდოდ, ოჯახში ძალადობა იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო, თუმცა ქალზე ძალადობის ფაქტი არ დასტურდება

„დიანიუსის“ ინფორმაციით, სუიციდის მცდელობისას თოკზე ჩამოკიდებული გოგონა ოჯახის წევრებმა იპოვეს და სასწრაფოდ ჩამოხსნეს.

გოგონა ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში კომატოზურ მდგომარეობაშია მოთავსებული.

არსებული ინფორმაციით, მას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

ქალი 3 შვილის დედაა.

სასაფლაოების უკანონოდ მოწყობისთვის ფოთში 1 პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა ქონების მესაკუთრის ქონებრივი დაზიანების, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე ერთი პირი ამხილა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქონების მესაკუთრის ქონებრივი დაზიანების, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, მხილებულია ერთი პირი.

გამოძიებით დადგინდა, რომ სოციალური სტატუსის მქონე საწარმოს ფუნქციონირებისათვის, სახელმწიფოს მიერ, ერთ-ერთ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს უზურფრუქტის წესით გადაეცა ქალაქ ფოთში მდებარე 4.406 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიუხედავად მიწის ნაკვეთის გადაცემის კონკრეტული მიზნობრიობისა, ბრალდებულმა, სამსახურებრივი მდგომარეობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სასაფლაოების მოსაწყობად, მოახდინა 2.226 კვ.მ მიწის ნაკვეთის უკანონო რეალიზაცია სხვადასხვა ფიზიკურ პირზე, რითაც, სახელმწიფოს მიაყენა 122.466 ლარის მატერიალური ზიანი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე, 180-ე მუხლების მესამე ნაწილებით და 220-ე მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით,“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

რუსთავთან 2 ბმვ დაეჯახა ერთმანეთს

1 ხევში გადავარდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-ლილოს მაგისტრალზე.

ერთმანეთს ბმვ-ს მარკის ავტომობილები შეეჯახნენ, რის შემდეგადაც ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხევში გადავარდა.

შემთხვევის შედეგად 42 წლამდე ქალი დაშავდა, რომელიც სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის, საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

ნუცუბიძეზე 35 წლის მამაკაცი დაიჭრა

ნუცუბიძეზე 35 წლამდე ასაკის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაიჭრა.

შემთხვევა გუშინ, 1 მაისს, მოხდა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის დროს მამაკაცი სახლში მარტო იმყოფებოდა, ის ცეცხლსასროლ იარაღს წმენდდა, როდესაც იარაღი გაუვარდა.

დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

თბილისის ზღვაზე 45 წლის დაღუპული მამაკაცი იპოვეს

თბილისის ზღვაზე, 45 წლამდე დაღუპული მამაკაცი იპოვეს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავები.

ვენესუელაში აჯანყება დაიწყო

ვენესუელაში აჯანყება დაიწყო. დედაქალაქ კარაკასში შეტაკებებია. ქვეყნის თავდაცვის მინისტრი აცხადებდა, რომ არმია მადუროს ერთგულია. მიუხედავად ამისა, ჯარისკაცები, ისევე, როგორც ნაციონალური გვარდიის მებრძოლები, ოპოზიციის მხარეს გადადიან.

კონფლიქტის გაღვივებას პრეზიდენტმა მადურომ შეუწყო ხელი. მისი შემართება დიდად განაპირობა რუსეთის მხარდაჭერამ. ქვეყანაში რუსი ჯარისკაცები და სამხედრო სპეციალისტები გამოჩნდნენ. რუსეთმა ვენესუელას სარაკეტო-საზენიტო კომპლექსი მიაწოდა. მადურომაც ოპოზიციაზე გადამწყვეტი იერიშის მიტანა დაიწყო.

საბაბი ოპოზიციის ლიდერის ხუან გუაიდოს მომხრეთა მიტინგი გახდა, რომელიც ერთ-ერთ სამხედრო ბაზასთან გაიმართა. მისი დაწყებისთანავე გამოჩნდა პოლიცია და მანიფესტანტებს დაშლისკენ მოუწოდა:

– სამხედრო ბაზასთან მიტინგის ჩატარება აკრძალულია!

ამას, ბუნებრივია, შეტაკება მოჰყვა. პოლიციამ რეზინის ხელკეტები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. პასუხად მომიტინგეებმა პოლიციას ქვები და ჯოხები დაუშინეს.

ამის შემდეგ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა.

კარაკასის ქუჩებში ცისფერლენტიანი ჯარისკაცები და ნაციონალური გვარდიის მებრძოლები გამოჩნდნენ. ეს ისინი იყვნენ, ვინც ხალხის მხარეს გადავიდა. ჯარისკაცებმა შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს ოპოზიციის მეორე ლიდერი ლოპესი.

პასუხად მადურომ ისინი პუტჩში დაადანაშაულა.

– ამერიკული იმპერიალიზმის აგენტებმა შეიარაღებული პუტჩი დაიწყეს, რათა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, ანუ მე, დამამხონ, – თქვა მადურომ.

ოპოზიციის ლიდერმა გუაიდომ, რომელიც რიგმა ქვეყანამ ვენესუელის დროებით პრეზიდენტად აღიარა, მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

– ჩვენი ჯარისკაცები ხალხის გვერდით დადგნენ. ახლა დროა, რომ ხალხიც მათ გვერდით დადგეს, – თქვა მან.

პასუხად მადურომ ჯარს პუტჩის ჩახშობა უბრძანა. ვენესუელის ქუჩებში ნამდვილი ბრძოლები გაიმართა. ორივე მხარე ავტომატურ იარაღს და შუშხუნებს იყენებდა.

შემდეგ კარაკასში მძიმე სამხედრო ტექნიკაც გამოჩნდა.

– დადგა გადამწყვეტი ჟამი! ხალხნო, გამოდით! – განაცხადა გუაიდომ.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში ბოლტონმა მადუროს გადადგომისკენ, არმიისა და ნაციონალური გვარდიის ხელმძღვანელებს კი ხალხის მხარეს გადასვლისკენ მოუწოდა.

– ეს თქვენი ბოლო შანსია, – თქვა ბოლტონმა, – გემი იძირება და თუ არ გადახტებით, მასთან ერთად ჩაიძირებით!

სახელმწიფო მდივანმა პომპეომ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მადურო კუბაში გასაქცევად იყო მზად, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ხელი შეუშალეს.

– რუსებმა მადუროს გაქცევა გადააფიქრებინეს, – თქვა პომპეომ.

თავად მადურომ თავის ტელე-გამოსვლაში განაცხადა, რომ ვენესუელაში დაიწყო პრო-ამერიკული პუტჩი, რომლის მიზანი ვენესუელის დამოუკიდებლობისთვის წერტილის დასმა და ქვეყნის ამერიკის კოლონიად გადაქცევაა.

– ამისი დაუსჯელად დატოვება აღარ შეიძლება! ყველა, ვინც შეიარაღებული პუტჩი დაიწყო, დაისჯება! – დაიმუქრა მადურომ.

ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს ვენესუელელ ხალხს.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ვენესუელაში დემოკრატია აღდგეს და თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს, – თქვა მოგერინიმ.

ვენესუელაში კი დაპირისპირება გრძელდება.

ტრამპი „ძმები მუსლიმანების“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას აპირებს

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა სარა სანდერსმა განაცხადა, რომ ტრამპი ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანების“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას აპირებს.

ეგვიპტის ამჟამინდელმა დიქტატორმა აბდულ ფათაჰ ალ-სისიმ „ძმები მუსლიმანების“ ხელისუფლება თავის დროზე იარაღის ძალით დაამხო. „ძმები“ ამას არ შეურიგდნენ და სისის მმართველობას ტერაქტებითა და საბოტაჟით დაუპირისპირდნენ.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ ტრამპმა დიქტატორ სისისადმი მხარდაჭერა გამოხატა.

იაპონიას ახალი იმპერატორი ჰყავს

იაპონიის იმპერატორი, 85 წლის ჰიროჰიტო გადადგა. ის ამ ქვეყნის ისტორიაში ერთადერთი იმპერატორია, რომელმაც ტახტი ნებაყოფლობით დათმო.

ჰიროჰიტოს ნაცვლად ტახტზე მისი ვაჟი, 59 წლის ნარუჰიტო ავიდა.

ცერემონიალი იმპერატორის სასახლეში გაიმართა. მას სახელმწიფოს პირველი პირები დაესწრნენ.

რუსეთმა ბელორუსში ელჩი შეცვალა

ვლადიმერ პუტინი დაყაბულდა ალექსანდრე ლუკაშენკოს მოთხოვნას და ბელორუსში ელჩი შეცვალა. ბაბიჩის ნაცვლად ელჩად ირკუტსკის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მეზენცევი დაინიშნა.

– ბაბიჩი ფრიად უცერემონიოდ იქცეოდა და ბელორუსის შიდა საქმეებში ერეოდა, – თქვა ლუკაშენკომ.

სწორედ ასეთი გამომწვევი საქციელი გახდა მიზეზი იმისა, რომ ბელორუსმა გადაკეტა ნავთობსადენი „დრუჟბა“, როლითაც რუსული ნავთი ევროპას მიეწოდება.

გერმანიამ, სლოვაკეთმა და პოლონეთმა მხარი დაუჭირეს ბელორუსს.

– „დრუჟბას“ გადაკეტვით მილიონობით ზარალი ვიწვნიეთ, – თქვა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ზელენსკი არჩევნებში გამარჯვებულად ოფიციალურად გამოაცხადეს

უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების დათვლა დაასრულა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ვლადიმერ ზელენსკიმ გაიმარჯვა და პრეზიდენტი გახდა.

პეტრო პოროშენკომ ზელენსკის გამარჯვება მიულოცა. მან გამოთქვა მზადყოფნა, დაეხმაროს ახალ პრეზიდენტს რჩევებით და პოლიტიკურად.

– დღეს უკრაინას, როგორც არასდროს, ერთიანობა ესაჭიროება! – ამბობს პოროშენკო.

ზელენსკი უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტ ეპიფანეს და მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ეკლესიის მეთაურ ონუფრის შეხვდა.

– ეკლესიამ უკრაინის ერთიანობა უნდა უზრუნველყოს, – განაცხადა ზელენსკიმ.

კალეიდოსკოპი

ვეფხვი თავის გადამრჩენელს თავს დაესხა

ამერიკის არიზონას შტატში Keepers of the Wild-ის ნაკრძალში ბენგალური ვეფხვი თავს დაესხა პარლის მფლობელ ჯონათან კრაფტს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ნაკრძალის თანამშრომლებმა გაფრთხილება მიიღეს მოსალოდნელი წყალდიდობის თაობაზე. კრაფტმა გადაწყვიტა, რამდენიმე ცხოველის უსაფრთხოებაზე ეზრუნა, მათ შორის 11 წლის ვეფხვზე, სახელად ბოუიზეც, და ისინი უფრო უსაფრთხო ადგილზე გადაეყვანა. მან მტაცებელს კარი გაუღო, რათა მას სპეციალური გამოქვაბულისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ ამ დროს ცხოველმა მას შეუტია.

– ბოუისთან ინციდენტი ჩემი ბრალია. მის უსაფრთხოებაზე ვფიქრობდი და საკუთარი უსაფრთხოების დაცვა გადამავიწყდა. ცხოველი, რომელიც ტყვეობაში იმყოფება, ცხოველურ ინსტინქტებს წამებში აღიდგენს. ასეთი თავდასხმები ყოველთვის ადამიანის შეცდომის ბრალია, – ამტკიცებს კრაფტი.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პარამედიკოსებმა მამაკაცი ქალაქ კინგმანის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას მრავლობითი ჭრილობები და ორი მოტეხილობა აღენიშნება. წინასწარი მონაცემებით, მისი ჯანმრთელობის აღდგენას რამდენიმე თვე დასჭირდება.

ბოუი თავის ვოლიერში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიდი ბრიტანეთის პლაჟზე უცნობი არსების გვამი აღმოაჩინეს

დიდი ბრიტანეთის დევონის საგრაფოში მამაკაცმა პლაჟზე უცნობი არსების ნარჩენები იპოვა.

შემთხვევა ტინმუტეს პლაჟზე მოხდა. გვამზე შეიმჩნეოდა მოყავისფრო-მოწითალო და თეთრი ბეწვები. მისი მპოვნელი კონორ ვილრესი უკიდურესად დაინტერესდა ნაპოვნით, ვინაიდან მისი ნაცნობებიდან ვერავინ შეძლო არსების ამოცნობა. ცხოველის გვამი ძალიან იყო გახრწნილი, რამაც მისი ამოცნობა კიდევ უფრო მეტად გაართულა.

მამაკაცმა არსების ფოტოსურათები ადგილობრივ ტელეარხს გადაუგზავნა, რომელმაც ისინი სოციალურ ქსელებში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა იმის იმედით, რომ რომელიმე მაყურებელი შეძლებდა მის ამოცნობას.

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

აიაქსი ფინალისკენ მიიწევს

ტოტენჰემი-აიაქსი 0:1

ლონდონი. ტოტენჰემ ჰოთსპური

0:1 ვან დე ბეეკი (15)

ტოტენჰემი: ლორისი, სანჩესი, ალდერვეირელდი, როუზი (დევისი 79), ვერტონგენი (სისოკო 40), ლუკას მოურა, ერიკსენი, ალი, ვანიამა, ტრიპიერი (ფოიტი 79), ლორენტე

აიაქსი: ონანა, დე ლიგტი, ტალიაფიკო, ველტმანი, ბლინდი, ვან დე ბეეკი, ზიეში (ჰუნტელარი 86), ტადიჩი, შენე (მაზრაუი 65), ნერესი, დე იონგი

აიაქსმა ისევ შესანიშნავად ითამაშა მეტოქის მოედანზე. ამსტერდამელებმა თავი წარმოაჩინეს როგორც საკუთარ, კლასიკურ სტილში, ისე გულშემატკივრებისთვის მიუჩვეველში. კლასიკური ვარიანტი პირველი ტაიმი იყო, როდესაც ტენ ჰაგის შეგირდებმა მთლიანად დაჩაგრეს ტოტენჰემი – „მოგუდეს“ მისსავე ნახევარზე და თავის აწევის საშუალებას არ აძლევდნენ.

აიაქსს უფრო დიდხანს ეჭირა ბურთი, უფრო ხშირად და მწვავედ უტევდა. „დეზები“ ძალიან ფრთხილობდნენ, არც კონტრშეტევებზე ბრწყინავდნენ და მათი პრესინგიც ცუდი ვერსია იყო.

ჰოლანდიელებმა ძალიან მალე გახსნეს ანგარიში და ეს ისევ დონი ვან ბეეკმა გააკეთა. სტუმრებს კიდევ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ ვერ გამოიყენეს. თუმცა, თავიანთ სტილში, ერთი ამოსუნთქვით და ძალიან ლამაზად თამაშობდნენ.

შესვენების შემდეგ აიაქსმა ის ფეხბურთი ითამაშა, რომელსაც არ ქადაგებს – ფიქრი ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო და კონტრშეტევების იმედად იყო. ამიტომაც ტოტენჰემმა უფრო მოუმატა და იყო მომენტები, როდესაც აიაქსი საკუთარ საჯარიმოსთან უფრო ხშირად იყო. ერთია, რეალურ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. მეტიც – გატანა აიაქსს შეეძლო, როდესაც კონტრშეტევის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა ნერეში, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

მოკლედ, აიაქსმა დამსახურებულად მოიგო, მაგრამ საპასუხო მატჩიც არ ექნება იოლი, რადგან ტოტენჰემს დაუბრუნდება დისკვალიფიცირებული სონი, რომელიც ძალიან აკლდა საკუთარ სტადიონზე.

აიაქსს გამარჯვებაში ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამაც შეუწყო ხელი. გუნდი რომ უკეთ მომზადებულიყო, ეროვნული ჩემპიონატის ტური საერთოდ გადადო, რამაც ტოტენჰემის მენეჯერი მაურისიო პოჩეტინიო გააბრაზა, რადგან მეტოქე თამაშს უფრო დასვენებული შეხვდა.

აიაქსმა ჩემპიონთა ლიგის ფლეიოფში ზედიზედ მესამე გასვლით შეხვედრაში იმარჯვა, რაც აქამდე მხოლოდ მადრიდის რეალსა და მიუნხენის ბაიერნს მოუხერხებია.

მატეის დე ლიხტი ტურნირის ნახევარფინალების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანია – 19 წლის და 261 დღის.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – *დონი ვან დე ბეეკი.*

ჰოლანდიელი ნახევარმცველი სულ უფრო და უფრო იხსნება. რაც უფრო შორს გადის აიაქსი, მით უფრო უმატებს თამაშს ვან დე ბეკი. უნივერსალი ნახევარმცველი სარგებლიანი როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში. მეტოქის საჯარიმოში მისი გამოჩენა კი გოლით მთავრდება, თანაც – გამარჯვების.

მაურისიო პოჩეტინო:

– პირველი ტაიმი ძალიან კარგად ვერ დავიწყეთ. მეტოქე უფრო ენერგიულად მოქმედებდა. გაგვიჭირდა. ძალა არ გვყოფნიდა. გოლის გაშვების შემდეგ, სადღაც 30-ე წუთზე, თამაშში დავბრუნდით. შეცვლაზე შემოსული სისოკო თამაშში აქტიურად ჩაერთო. მეორე ტაიმში თანაბარი თამაში იყო. მომენტების შექმნას ვცდილობდით. ანგარიში მხოლოდ 0:1-ია, არაფერიც არაა დაკარგული, ამსტერდამში მოსაგებად გავემგზავრებით... დიდი არჩევანი არ მქონდა და ამიტომ დავაყენე ძირითად შემადგენლობაში 5 მცველი. ეს შეცდომა იყო.

ერიკ ტენ ჰაგი:

– პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ და კარგი გოლიც გავიტანეთ. აბსოლუტურად ვდომინირებდით. თუმცა, შემდეგ თანდათან თამაშს თავი დავანებეთ. მოწინააღმდეგემ გვაიძულა. საერთოდ კი, ლომებივით ვიბრძოლეთ. ველოდი, რომ ტაქტიკას შეცვლიდნენ. შეცდომა დავუშვით და კინაღამ გოლი გავუშვით. ნებისმიერ შემთხვევაში დადებით შედეგს მივაღწიეთ. ფინალისკენ ნახევარი ნაბიჯი გადავდგით. მეტოქეზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ და სახლში უკეთ ასპარეზობა გვმართებს.

ედვინ ვან დე საარი: „აიაქსი არ დაიშლება“

დიდი შანსია, დღევანდელი ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი გუნდი, ამსტერდამის აიაქსი, დაიშალოს. ამის მიზეზი ჰოლანდიური კლუბის ფეხბურთელებზე ტაციაობაა.

ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ფრენკი დე იონგი ბარსელონაში გადავა. დიდი კლუბების სამიზნეზე არიან მატის დე ლიხტი, დონი ვან დე ბეკი, ჰაკიმ ზიეჩი, დავიდ ნერეში.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ აიაქსის ნახევარმცველი, ვან დე ბეეკი შესაძლოა მადრიდის რეალში აღმოჩნდეს. 22 წლის ფეხბურთელის ფასი დაახლოებით 35 მილიონი ევროა, მისი პერსპექტივა კი მართლაც თვალნათელია. ახალგაზრდა ნახევარმცველზე პრეტენზიას მილანის ინტერიც აცხადებს.

დე ლიხტს ბარსელონას, რეალს, მიუნხენის ბაიერნსა და ტურინის იუვენტუსს უკავშირებენ. განსაკუთრებით ესპანური გრანდები აქტიურობენ.

მატიას დე ლიხტი:

– არავითარი ბარსელონა, არავითარი რეალი, მადრიდში გადასვლაზე არც მიფიქრია. ბარსელონას ინტერესი? გმადლობთ, მაგრამ ახლა ამაზე არ ვისაუბრებ, მე ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს, ეს იქნება უბედნიერესი წუთები, რომელზეც ვოცნებობ. მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალსა და აიაქსის წარმატებაზე ვფიქრობ. როგორ გგონიათ, ახლა ტრანსფერებზე საუბრის დროა?! რა თქმა უნდა, არა!

ამ კომენტარის მიუხედავად, დე ლიხტი ამსტერდამიდან მაინც წავა. ამას თავად აიაქსის თავკაცი ერიკ ტენ ჰაგი ადასტურებს.

ერიკ ტენ ჰაგი:

– აიაქსში დე ლიხტის დარჩენის არანაირი შანსი არ არსებობს. მისით მრავალი კლუბია დაინტერესებული. მატიასი ჩვენს გუნდს ზაფხულში დატოვებს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, სად განაგრძობს იგი ასპარეზობას – ბარსელონაში თუ მიუნხენის ბაიერნში.

ტურინის იუვენტუსს უკავშირებენ ნერეშსაც, ხოლო ზიეჩით ყველაზე მეტად მიუნხენის ბაიერნია დაინტერესებული.

26 წლის ფეხბურთელის გადაბირებით ბუნდესლიგის კიდევ ერთი გრანდი – დორტმუნდის ბორუსიაა დაინტერესებული.

ცნობილია, რომ დორტმუნდელებმა უკვე გამართეს მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. კომუნიკაცია შედგა ბაიერნისა და აიაქსის ხელმძღვანელობებს შორისაც, თუმცა კონკრეტული სატრანსფერო თანხა არც ბავარიელებს დაუსახელებიათ.

გარდა ზემოხსენებული კლუბებისა, ახალგაზრდა ფეხბურთელის მიმართ დაინტერესებას იჩენს რეალი, ჩელსი, არსენალი, რომა, ევერტონი და ლესტერი. ვარაუდობენ, რომ სატრანსფერო ღირებულება 35-50 მილიონი ევროს ფარგლებში იქნება მოქცეული.

მიუხედავად აიაქსის ფეხბურთელებზე დიდი მოთხოვნისა, ლეგენდარული მეკარე და ამჟამად აიაქსის გენერალური დირექტორი ედვინ ვან დერ საარი ამტკიცებს, რომ გუნდი არ დაიშლება. მისი თქმით, ტალანტების გარკვეული ნაწილი გუნდში დარჩება.

ედვინ ვან დე საარი:

– ჩვენ ვიცით, რომ ყოველთვის ასე ხდებოდა. 70, 80, 90-იან წლებში წამყვანი ფეხბურთელები მუდამ მიდიოდნენ. თუმცა ეს ახალგაზრდებს აძლევს შანსს. 19, 20 წლის ბიჭები 2 წელში ამავე დონეზე ითამაშებენ. ჩვენ არ ვაპირებთ 7 ფეხბურთელის გაყიდვას. კონკურენტუნარიანები უნდა დავრჩეთ. ჩვენ მოგვწონს, როცა გადამწყვეტ ეტაპებზე ვთამაშობთ, როცა ყველა გვაღიარებს. ასე რომ, მთელ გუნდს არ დავშლით.

აიაქსის ბიუჯეტი სხვა გრანდებთან შედარებით ძალიან მცირეა. თავად ვან დერ საარის თქმით, იგი 95 მილიონ ევრომდე მერყეობს. ეს ფაქტი აიაქსის წარმატებას კიდევ უფრო აღსანიშნავს ხდის.

– ხელფასებში ბევრ ფულს არ ვიხდით. ბიუჯეტის დიდ ნაწილს აკადემიაში ვაბანდებთ. წელიწადში დაახლოებით 11-12 მილიონ ევროს ვხარჯავთ აკადემიის მიმართულებით და ძალიან ამაყები ვართ, რომ აკადემიის აღზრდილებით ნახევარფინალში გავედით. დავიდსი, ზეედორფი, კლუივერტი, დე ბურები, მე – ჩვენ ეს ყველაფერი 24 წლის წინ გავიარეთ და მიხარია, რომ იგივე სტილის ფეხბურთით ძველი დონე დავიბრუნეთ.

ᲗᲔᲓᲘᲒᲔᲑᲘ

30 აპრილი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ

ტოტენჰემი-აიაქსი	0:1

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘᲒᲐ

მილუოლი-ბრისტოლი	1:2

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘᲒᲐ

მონპელიე-პსჟ	3:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.პსჟ	34	27	3	4	97-30	84
2.ლილი	34	20	8	6	59-28	68
3.ლიონი	34	18	8	8	58-43	62
4.სტ.ეტიენი	34	17	8	9	52-37	59
5.მონპელიე	34	14	12	8	50-39	54
6.მარსელი	34	16	6	12	53-46	54
7.ნიცა	34	14	9	11	26-30	51
8.რეიმსი	34	11	16	7	33-35	49
9.ნიმი	34	13	7	14	49-53	46
10.სტრასბური	34	10	15	9	55-43	45
11.რენი	33	11	10	12	45-46	43
12.ნანტი	34	12	7	15	43-45	43
13.ანჟე	34	9	15	10	41-41	42
14.ბორდო	34	9	11	14	33-39	38
15.ტულუზა	34	8	12	14	30-48	36
16.ამიენი	34	8	9	17	28-48	33
17.მონაკო	33	7	11	15	32-49	32
18.კაენი	34	6	11	17	26-47	29
19.დიჟონი	34	7	7	20	27-51	28
20.გენგამი	34	5	9	20	24-63	24

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ. ᲕᲔᲘᲯᲐᲣᲡᲚᲘᲒᲐ

ლახტი-ვაასა	1:1
სეინეიოკი-კვპ	1:0

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲥᲡᲣ-ᲙᲐᲙᲢᲣᲡᲘ 74:69

(22:25, 23:15, 15:12, 14:17)

სუპერლიგის საგზურისთვის დანიშნული საკვალიფიკაციო სერია გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა. რეგულარულ ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზე გასული კაკტუსი უმაღლესში დასარჩენად იბრძვის, რომელსაც ა ლიგის ფინალისტი კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ეცილება. მეოთხე მატჩში კავკასიამ 74:69 დაამარცხა კაკტუსი, სერიაში ანგარიში გაათანაბრა (2:2) და საქმე მე-5, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა.

რაც შეეხება მატჩს, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავდაპირველად კაკტუსის ლიდერობა ასცდა 10 ქულას, თუმცა მეორე პერიოდში კავკასიელებმა დაცვისა და მეტოქის შეცდომების ხარჯზე მოახერხეს გარდატეხის მოხდენა და 10 ქულით თავად გალიდერდნენ.

შედეგიანად ირჯებოდა რიჩარდ მათიაშვილისა და ვენდელ ლუისის ტანდემი, ხოლო უკანა ხაზში ბექა წივწივაძე და ანდრე ლუისი აქტიურობდნენ.

ბოლო წუთზე კაკტუსელებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, თუმცა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხეს და დამარცხდნენ.

გამარჯვებულებს 18 ქულით მათიაშვილმა ულიდერა. 17 ქულა ლუისმა მოაგროვა, დავით ბარბაქაძის ანგარიშზე 15 ქულაა. კაკტუსში 19 ქულით საუკეთესო იყო დელანო სპენსერი.

ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲢᲣᲖᲝᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ

მილანმა სეზონი პრაქტიკულად ჩააგდო. გუნდი სერია ა-ში სეზონის მიმდინარეობისას წამყვან პოზიციებზე იყო, მაგრამ თანდათან დათმო, ახლა ევროსაგზურის ზონაშიც არ იმყოფება. მართალია, ევროტურნირებზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ სეზონის დასრულებისთანავე კლუბი მთავარ მწვრთნელ ჯენარო გატუზოსთან დამშვიდობებას აპირებს.

მილანის ხელმძღვანელობამ უკვე შეადგინა იმ სპეციალისტთა ჩამონათვალი, რომლებსაც სეზონის დასრულების შემდეგ გატუზოს ჩანაცვლება შეუძლიათ.

იტალიური მედიის ინფორმაციით, როსონერიში ყველაზე მეტად ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელის მაურიციო სარის მიწვევით იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ სპეციალისტის გეგმებში ლონდონის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება არ შედის და სარიმ მილანელებს ამის შესახებ უკვე აცნობა.

ახლა მილანის მთავარი მწვრთნელობის მთავარი კანდიდატები ეუსებიო დი ფრანჩესკო და ჯანპიერო გასპერინი არიან.

49 წლის ეუსებიო დი ფრანჩესკო ბოლოს რომას წვრთნიდა, მაგრამ თანამდებობიდან ამ გაზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, პორტუსთან წაგების შემდეგ გაათავისუფლეს და აქამდე უმუშევარია. რაც შეეხება 61 წლის ჯანპიერო გასპერინის, სპეციალისტი ამჟამად ბერგამოს ატალანტას ხელმძღვანელობს, რომელიც იტალიის თასის ფინალშია გასული, სერია ა-ში კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. მილანში მოსწონთ ის, თუ როგორ შეუძლიათ ამ სპეციალისტებს ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა, ასევე მათი სათამაშო სტილი.

როსონერის გაფართოებულ სიაში კიდევ ორი მწვრთნელია – ლეონარდო ჟარდიმი (მონაკო) და მარკო ჯამპაოლო (სამპდორია), თუმცა მათი მიწვევა კლუბისთვის პრიორიტეტული არაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ – ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ ᲛᲔᲡᲘ



ბარსელონამ უკვე მოასწრო ერთი ტიტულის მოგება. კატალონიელებმა პრიმერა დივიზიონში იმარჯვეს და ეს ბოლო 11 წელში მერვედ გააკეთეს.

ცხადია, ბარსას წარმატებები ლეო მესის მხრებზე დგას. არგენტინელმა 34 გოლი გაიტანა ესპანეთის ჩემპიონატში და გასაკვირიც არ არის, რომ ჩვეული დაფასება ხვდა წილად.

სპორტულმა გამოცემა მარკამ ბარსას ფანებს შორის გამოკითხვა ჩაატარა, თუ როგორ აფასებენ ისინი თითოეული ფეხბურთელის გამოსვლას ამ სეზონში. პირველზე, რა თქმა უნდა, მესი გავიდა. ბოლოზე – ბოატენგი. საინტერესოა ის, რომ ლუის სუარესისთვის ათეულშიც კი არ მოიძებნა ადგილი და მხოლოდ მეცამეტეა.

ᲢᲝᲠᲞ 10 ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ:

ლეო მესი, მარკ-ანდრე ტერ შტეგენი, ჟერარ პიკე, ხორდი ალბა, კლემან ლენგლე, ივან რაკიტიჩი, არტური, ნელსონ სემედო, სერხიო ბუსკეტსი, სერხი რობერტო.

ცვლილებები უიმბლდონზე

წლის რიგით მე-3 დიდი სლემის საჩოგბურთო ტურნირში – უიმბლდონზე ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაც განხორციელდება და ისტორიაში პირველი ტურნირი გახდება, რომლის გადამწყვეტ სეტშიც ტაიბრეიკი არა 6:6-ზე, არამედ 12:12-ზე დაინიშნება.

ეს გადაწყვეტილება ორგანიზატორებმა მიიღეს.

გარდა ამისა, წლევანდელი საპრიზო ფონდი 11.8%-ით გაიზრდება. უიმბლდონში, გასამართი გათამაშების ჯამური საპრიზო ფონდი 38 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება. როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა თანრიგის გამარჯვებული 2.35 მილიონს მიიღებს, რაც წინა წლის საპრიზო თანხასთან შედარებით 100.000-ით მეტია.

საპრიზო თანხა ასევე გაიზრდება ადრეულ რაუნდებში დამარცხებულთათვისაც, მაგალითად, პირველ წრეში წაგებული მოთამაშის საბანკო ანგარიშზე 10%-ით მეტი – 45.000 გირვანქა სტერლინგი ჩაირიცხება.

ამჟამად უიმბლდონზე მხოლოდ ცენტრალური კორტია გადახურული. წლევანდელ ტურნირზე კი ნომერ 1 კორტსაც დაადგამენ სახურავს. თამაშები ადგილობრივი დროით დილის 11 საათზე დაიწყება.

უიმბლდონი დიდი სლემის ერთადერთი ტურნირია, რომელიც ბალახის საფარზე იმართება, მისი წლევანდელი გათამაშება

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

აგრესიული დათვი მძინარე მოხუცს თავს დაესხა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სიერა-მადრეში დათვის თავდასხმის შედეგად სერიოზულად დაშავდა უსახლკარო მამაკაცი.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ პოპულარულ ტურისტულ ზონაში მოხდა. ადგილობრივი დროით 23:30 საათზე პოლიციამ შეტყობინება მიიღო საეჭვო მამაკაცის შესახებ, რომელიც რეკრეაციული ზონის მახლობლად მდებარე სახლების კარზე რეკავდა. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა აღმოაჩინეს ხანდაზმული მამაკაცი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა.

84 წლის მოხუცი ამტკიცებს, რომ ახლომდებარე კანიონში ეძინა, როდესაც მას რუხი დათვი დაესხა თავს, რომელიც, სავარაუდოდ, 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა. მტაცებელი მას დაეძგერა და ბრჭყალებით სახესა და ხელზე ჩააფრინდა. ის გაქცევას შეეცადა, მაგრამ ცხოველი გამოეკიდა. მამაკაცმა მაინც მოახერხა დამალვა და დაელოდა, სანამ დათვი იმ ადგილს გაეცლებოდა, შემდეგ კი ქალაქ მიაშურა დახმარების სათხოვნელად.

ექიმებმა მოხუცის იარები გასინჯეს და დაასკვნეს, რომ ისინი მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. კალიფორნიის ნადირობისა და თევზაობის დეპარტამენტი აგრესიული დათვის ძებნით არის დაკავებული.

ავსტრალიაში მილიონობით გარეულ კატას დახოცავენ

ავსტრალიის ხელისუფლება 2020 წლისთვის ორ მილიონამდე გარეული კატის დახოცვას გეგმავს, ვინაიდან ისინი ქვეყნის ეკოსისტემისთვის საფრთხეს წარმოადგენენ.

2015 წელს ხელისუფლებამ იმ ცხოველების მასობრივი დახოცვა დაიწყო, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან გადაშენების პირას მყოფ 27 სახეობის მღრღნელებს.

სპეციალური მომწამვლელი ნივთიერება მზადდება ქალაქ პერტის მახლობლად მდებარე ფაბრიკაში. შხამს ათავსებენ ძეხვში, რომლებსაც შემდეგ ჰაერიდან ყრიან. კატა მისი გასინჯვიდან 15 წუთში კვდება. იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ცხოველი დახოცონ, ზოგიერთ მათგანს იჭერენ და შემდეგ ხოცავენ.

ამ აქციის წინააღმდეგ მრავალი ცნობილი პიროვნება გამოვიდა. მაგალითად, ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა და მომღერალმა ბრიჯიტ ბარდომ ღია წერილი მისწერა ავსტრალიის ხელისუფლებას მოწოდებით, შეწყვიტონ „ცხოველების გენოციდი!“.

ოჯახმა შეკვეთილი ქათმის ფრთების ნაცვლად ბუმბულები მიიღო



ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ქალმა და მისმა შვილმა „მაკდონალდსში“ ქათმის ფრთები შეუკვეთეს სახლში მიტანით, მაგრამ მათ ნაცვლად ბუმბულებიანი უმი ხორცი მიიღეს.

შეკვეთის მიღების შემდეგ ქალმა აღმოაჩინა, რომ მას ბუმბულებიანი უმი ქათმის ფრთები მიუტანეს. ამის შემდეგ აღშფოთებულმა ჩინელმა იმ რესტორანს მიაშურა, საიდანაც მას შეკვეთა მიუტანეს.

დაწესებულების ხელმძღვანელმა ქალს ბოდიში მოუხადა და შეკვეთილი ფრთების ათმაგი ღირებულება შესთავაზა კომპენსაციის სახით, ასევე დამატებით 300 იუანი მორალური ზარალის მიყენებისთვის. მან ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და საჩივარი ჩინეთის პროდუქტებისა და წამლების კონტროლის სამმართველოში გააგზავნა.

ინციდენტის გამო „მაკდონალდსმა“ სახალხოდ მოუხადა ბოდიში დაზარალებულ ოჯახს და იქვე განაცხადეს, რომ მომხდართან დაკავშირებით შემოწმებას ატარებენ.

ლატარიაში მილიონის მოგები შოტლანდიელი უსაქმურობამ დაღალა

შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის მცხოვრები ქალბატონი, რომელმაც ლატარიაში მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, უსაქმურობისგან დაიღალა და გადაწყვიტა სამუშაოზე მოეწყოს. ამის შესახებ მან ტვიტერში საკუთარ გვერდზე დაწერა.

ჯეინ პარკმა მსხვილი თანხა 17 წლის ასაკში მოიგო, როდესაც პირველად იყიდა ლატარიის ბილეთი. გოგონა ფულს ხარჯავდა ძვირფას მანქანებში, მოგზაურობებში, პლასტიკურ ოპერაციებსა და უძრავ ქონებაში. ოთხი წლის შემდეგ გოგონამ დაიჩივლა, რომ ცნობილი დიზაინერების ჩასაცმელების ტარება და ძვირადღირებულ კურორტებზე დასვენება მობეზრდა.

23 წლის პარკმა აღიარა, რომ მას უსაქმურობა მობეზრდა.

– მე და ქლოი (პარკის მეგობარი) ისე დავიღალეთ უსაქმობით, რომ სამსახურში მოწყობაზე ვფიქრობთ, – აღნიშნა გოგონამ.

ნარკომანი თავს მათხოვრად ასაღებდა და მამაკაცს ათასობით ფუნტი გამოსძალა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლესტერში განაჩენი გამოუტანეს თაღლით ქალს, რომელიც თავს მათხოვრად ასაღებდა და ამ გზით მამაკაცს მან 18 ათასი ფუნტი სტერლინგი გამოსძალა.

32 წლის სიუზან გირიმ თავისი მსხვერპლი, დაახლოებით 60 წლის მამაკაცი, იმ დროს გაიცნო, როდესაც მისი მაღაზიის მახლობლად მათხოვრობდა. მამაკაცს მისმა მოგონილმა ისტორიამ გული აუჩუყა და ის ყოველდღე მას მცირე თანხას ჩუქნიდა. ერთი თვის შემდეგ კი მან ქალს პირველად ასესხა მსხვილი თანხა.

გულკეთილმა მამაკაცმა არ იცოდა, რომ ქალს საკუთარი ბინა ჰქონდა და მან თავისი სახლის თავისუფალი ოთახი შესთავაზა საცხოვრებლად, თუმცა თაღლითმა უთხრა, რომ ის ღამეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათევდა.

მთელ ფულს გირი, რომელსაც მას მამაკაცი აძლევდა, ნარკოტიკებში ხარჯავდა, რომელსაც თავისთვის და თავისი მეგობარი მამაკაცისთვის ყიდულობდა.

დროთა განმავლობაში მამაკაცს ეჭვი გაუჩნდა, რომ მას ატყუებდნენ: გირი მას აჩვენებდა აშკარად ყალბ საბუთებს, რომლის მიხედვითაც მას თითქოსდა მისაღები ჰქონდა სოციალური შემწეობა და კომპენსაცია.

2018 წლის თებერვალში გირი ისევ მიადგა მამაკაცს ფულის სასესხებლად, მაგრამ მისგან უარი მიიღო, ვინაიდან იმ დროისთვის მისმა ვალმა უკვე 18 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. უარმა ის გააბრაზა და ქვას დასტაცა ხელი ვიტრინის ჩასამტვრევად. მამაკაცმა ბანკომატიდან 50 ფუნტი სტერლინგი მოხსნა და მას მისცა დასამშვიდებლად. ხოლო, როგორც კი ქალი წავიდა, მაშინვე პოლიციაში დარეკა.

სასამართლოზე დაზარალებულის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მამაკაცი გირის მხოლოდ მის მიმართ სიმპათიის გამო ეხმარებოდა, და რომ მათ შორის სექსუალური ურთიერთობა არ ყოფილა.

სასამართლომ გირის ერთი წლით საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება შეუფარდა, რომლიდანაც ექვსი თვე ნარკოდამოკიდებულებაზე მკურნალობას უნდა დაუთმოს. მან უნდა დაიცვას კომენდანტის საათი, სახლიდან საღამოს შვიდიდან დილის შვიდ საათამდე არ უნდა გამოვიდეს. ასევე მას ხუთი წლით ეკრძალება დაზარალებულთან ყოველგვარი ურთიერთობა და იმ ქუჩაზე გამოჩენა, სადაც მისი ბინა მდებარეობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 მაისისთვის

ვერძი – დღეს ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. ფიზიკურ დატვირთვას მაქსიმალურად ერიდეთ. **კურო** – დაკავდით სპორტით. შემოსავალი გეზრდებათ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურია. **ტყუპები** – მოუგვარებელი პრობლემების გამო კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. მძიმე დღეა. **კირჩხიბი** – ნანატრი წარმატება მოდის. პლანეტები თქვენ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან. **ლომი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. გელით საინტერესო და პერსპექტიული შემოთავაზება. **ქალწული** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. იყავით კეთილსინდისიერი და ოპტიმისტი. **სასწორი** – ნებისმიერი გამონათქვამი და ქცევა აკონტროლეთ. წინდაუხედაობა ცუდ შედეგს გამოიღებს. **ღრიანკალი** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. არაფერი გაწუხებთ. ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – საქმეში ახალი პარტნიორები ჩართეთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **თხის რქა** – თქვენი აქტიურობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. შრომა დაგიფასდებათ. **მერწყული** – ყოველდღიური რუტინა დაგეძანცავთ. დროა დაისვენოთ, შეიცვალოთ გარემო. **თევზები** – საქმეში ცვლილებებია შესატანი. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით, ნუ აჩქარდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო ახლო-აღმოსავლეთ აზიაში; 2. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პოპულარული პარკი ბარსელონაში; 3. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 4. აჭარული ცეკვა; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. რეგიონი კახეთში; 15. ფირმა „კოდაკის“ დამფუძნებელი; 17. აეროპორტი ოსლოში; 18. ფულის ერთეული ირანში.

თარაზულად: 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 6. მართული წყალქვეშა ჭურვი; 8. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 10. მუქთახორა, სხვის ხარჯზე მცხოვრები ადამიანი; 11. მდინარე მისისიპის შენაკადი; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 16. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 18. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 21. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 22. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 23. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შინჯუკუ; 2. მაშავერა; 3. ინტელი; 4. სიამი; 5. დიპტანკი; 8. კერატიტი; 12. სარი; 13. აკუსტიკა; 14. არქივი; 16. ტიციანი; 18. მასკი; 20. ალბა.

თარაზულად: 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კოპალა; 9. ბურჟე; 10. გეორგიკა; 11. პლესეცკი; 15. აკრატოფორი; 17. ჩინური; 19. ველასკესი; 21. სიმენსი; 22. სამშვილდე; 23. ჰაჯიბეი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მოწამეთა; 8. კატაი; 3. პარიტეტი; 4. ზიდანი; 7. ჩხუტი; 9. მრუმე. 12. ონომასტიკა; 14. კაზუსი; 15. აგევზია; 17. მაესტრო; 20. კომლი.

თარაზულად: 5. პოტომაკი; 6. ჩხავერი; 8. ახალუხი; 10. მატეზერი; 11. მთვარე; 13. კეიტონი; 16. ცერცვაძე; 18. კაკაო; 19. პენსი; 21. ჰონსიუ; 22. დიასტოლა; 23. მეტრიკა.

სუხიშვილები, სირცხვილია! — ანსამბლს მოუწოდებენ, უარი თქვან 17 მაისის გალა კონცერტზე

ქართულ ნაციონალურ ბალეტს, სუხიშვილებს მოუწოდებენ, არ მიიღოს მონაწილეობა 17 მაისს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული „ოჯახის სიწმინდის დღესთან“ დაკავშირებულ გალა კონცერტში მონაწილეობაზე:

– მოვუწოდებთ სუხიშვილებს, უარი თქვას 17 მაისს საპატრიარქოს გალა კონცერტში მონაწილეობაზე!

17 მაისს, საპატრიარქოს დაფუძნებულ „ოჯახის სიწმინდის დღესთან“ დაკავშირებით, სამების ტერიტორიაზე გალა კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილები.

17 მაისი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა! ამ დღის აღნიშვნას ლგბტ ადამიანები 2012 წლიდან ცდილობენ. 2012 წლისა და 2013 წლის 17 მაისების საზარელი ძალადობრივი მოვლენების შემდეგ, საპატრიარქომ ამ დღეს „ოჯახის სიწმინდის დღე“ დააარსა და ამ გზით წლებია 17 მაისს ლგბტ ადამიანები განდევნილები არიან საჯარო სივრციდან და ვერ იყენებენ მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას.

უკვე მეხუთე წელია საპატრიარქო მოპარული დღის აღნიშვნას აგრძელებს და ყველა, ვინც ამ დღის ლეგიტიმაციას ახდენს, პირდაპირ მონაწილეობს სიძულვილის გავრცელებაში და ახალისებს ძალადობას!

მოვუწოდებთ სუხიშვილებს, უარი თქვან ამ სამარცხვინო ღონისძიებაში მონაწილეობაზე და ამით გადაარჩინონ საკუთარი რეპუტაცია!

ასეთი იქნება განახლებული კინო „რუსთაველი“

ძეგლის სტატუსის მქონე კინოთეატრი „რუსთაველი“ ძველმა მფლობელმა გაყიდა.

რეჟისორმა მაია კიკაბიძემ ინტერნეტში შენობის ახალი ესკიზები გამოაქვეყნა და მისი დამმახინჯებლის, ავტორის ვინაობის გამხელა ითხოვა:

– ვინ არის ახალი მფლობელი? ძველმა გაყიდა და ახალი ვინ არის? ყველაფერი შეიძლება ასე დააარქიტექტურონ? პანორამა თბილისს უნდა მოარგონ ყველა ძეგლი?

გაქრება თუ არა კინოთეატრი „რუსთაველი“, ბოლო კინოთეატრი, რომელიც თითქმის 80 წლის წინ, 1939 წელს, სწორედ კინოს ჩვენების ფუნქციით აშენდა და მიხეილ ჭიაურელის ფილმით „დიადი განთიადით“ გაიხსნა.

მფლობელები გეგმავენ „შენობის განვითარებას სასტუმროს მიმართულებით კინოს თემატიკით“. ამის თაობაზე მერიის არქიტექტურის სამსახურში რამდენიმე დღის წინ ესკიზის შეთანხმების შესახებ განაცხადიც შევიდა.

კინო რუსთაველი არის ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობა და ესკიზი ნახეთ რა დღეშია!

რეზო შატაკიშვილი ლანა ღოღობერიძეს მადლობას უხდის

რეჟისორი რეზო შატაკიშვილი უფროს კოლეგას ლანა ღოღობერიძეს მადლობას საჯაროდ უხდის:

– ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან 20 წელი გავიდა და ამ დღეს არავის გახსენებია ქალბატონი, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო!

დიახ, მე ვლაპარაკობ ქალბატონ ლანა ღოღობერიძეზე!

ქალბატონი ლანა იყო ევროპის საბჭოში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, შემდეგ უკვე ჩვენი ელჩი ევროპის საბჭოში.

სანამ ზურაბ ჟვანია გამოვიდოდა ისტორიული გამოსვლით იმ ტრიბუნაზე, სწორედ ქალბატონი ლანა გამოდიოდა!

მახსოვს, მიხეილ სააკაშვილი მიყვებოდა, მიხეილ სააკაშვილი ამავე დელეგაციის წევრი იყო, ისევე, როგორც ირინა სარიშვილი, რა ფურორი მოახდინა ლანა ღოღობერიძის პირველმა გამოსვლამ ასამბლეაზე.

ვინაიდან გამომსვლელი იყო პოსტსაბჭოთა სივრციდან და, მით უმეტეს, უფროსი თაობის წარმომადგენელი, ვარაუდობდნენ, რომ იგი რუსულ ენაზე გამოვიდოდა და ისარგებლებდა სინქრონული თარგმანის სერვისით.

და ის გამოვიდა უზადო ფრანგულით!

გამოსვლის შემდეგ კი კოლეგებთან საუბრობდა ასევე უზადო ინგლისურით...

დიახ, იქ არავის უკვირდა ახალგაზრდების ფრანგული და ინგლისური, მაგრამ მათთვის აღმოჩენა იყო ასაკოვანი ქალბატონის ასეთი ფრანგული.

ეს მაინც მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რასაც ქალბატონი ლანა აკეთებდა ამ ასპარეზზე და დღეს, ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან 20 წლის თავზე, იმდენს მაინც იმსახურებდა, რომ ვინმეს ეხსენებინა, ელემენტარულად მადლობა ეთქვათ.

მე გადასარევად მახსოვს მთელი ის პერიპეტიები და მე მინდა გადავუხადო ჩემი წილი მადლობა ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს!

სამგლოვიარო განცხადებები

კარლო ღურწკაია ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება ძვირფასი **დედის**, ქალბატონი

ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲦᲣᲠᲬᲙᲐᲘᲐᲡ

გარდაცვალებას.

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ პროფესორ კარლო ღურწკაიასა და მის ოჯახს ძვირფასი დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი ქალბატონის

ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲦᲣᲠᲬᲙᲐᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

პარმენ ლემონჯავა ოჯახით სამძიმარს უცხადებს პროფესორ კარლო ღურწკაიას დედის

ᲕᲔᲜᲔᲠᲐ ᲥᲘᲨᲛᲐᲠᲘᲐ-ᲦᲣᲠᲬᲙᲐᲘᲐᲡ

გარდაცვალების გამო.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲓᲔ.

ნინო ქათამაძე გაუგებრობაში ნიკოლოზ რაჭველის გამო მოხვდა

17 მაისს დაგეგმილ ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებულ გალა კონცერტში გავრცელებული აფიშით მონაწილეობა უნდა მიიღონ სუხიშვილებმა, შვიდკაცამ, ნინო ქათამაძემ, ნატო მეტონიძემ, თამრიკო ჭოხონელიძემ, აჩიკო ნიჟარაძემ, მძლევარმა, ალილომ და ქართული ესტრადის სხვა წარმომადგენლებმა.

ყველაზე მეტად საზოგადოებას ამ კონცერტში ნინო ქათამაძის მონაწილეობა არ მოეწონა და მის სალანძღავად ინტერნეტში ყველაზე საზიზღარი სიტყვები არ დაიშურეს.

დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა კი განაცხადა, რომ ნინო ქათამაძე ამ გაუგებრობაში სწორედ მის გამო მოხვდა:

– ისტორია იყო ასეთი: ჩემს მეგობარ ნინო ქათამაძეს შესთავაზეს 17 მაისის გალა კონცერტში მონაწილეობის მიღება. ნინომ უპასუხა პროფესიონალურად, რომ მას სცენაზე გამოსვლისათვის ესაჭიროება ინსტრუმენტული ანსამბლი და ორკესტრის მუსიკოსები, ასევე მე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებდა გამოსვლას და სიმღერის შესრულებას. ორგანიზატორები ვიდრე მე მიპოვნიდნენ, ეს ყველამ იცის, რომ საკმაოდ რთულია ხოლმე ზოგჯერ, ნინოს სახელი აფიშაში დაბეჭდეს და მონაწილეთა ჩამონათვალი ასე გასაჯაროვდა.

პარალელურად მე, ვინაიდან 15 მაისის კონცერტის შემდეგ მივემგზავრები გერმანიაში, სადაც მაქვს ჩაწერები ბერლინის ორკესტრთან ერთად, ნინოც დათანხმდა შემოთავაზებებს, რაც ყოველთვის უხვად აქვს, და დანიშნა საკონცერტო ცხრილი, რის მიხედვითაც მაისის შუიდან ივნისამდე პრაქტიკულად არ მოუწევს თბილისში ყოფნა. ამ დროს გაკეთდა განცხადება, რომლის სათაურად გატანილმა წინადადებამ „ნინო ქათამაძემ უარი თქვა ოჯახის სიწმინდის დღისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობაზე“ გამოიწვია სოციალური ქსელით მოსარგებლე ადამიანთა შეუმდგარ, გაბოროტებულ, მართლაც ცოდვილ და გაუნათლებელ ნაწილში ნინოსადმი აგრესიის გამოხატვის დიდი ტალღა.

გულდასმით წავიკითხე გამეტების, დაცინვის, სიძულვილის ენაზე ამეტყველებული მართლმადიდებლობის და სიწმინდეების „დამცველთა“ ნააზრევი და ერთ რამეს მივხვდი: ყოველი სიტყვა მართლაც რომ მძიმე ცოდვად მოეკითხებათ მათ ავტორებს, ნინო ქათამაძე კი უკვე ჩვენი ქვეყნის მუსიკის ოქროს ისტორიაა და მისი სიმღერით ჩვენ უბრალო მსმენელებს და ადამიანებს ღმერთი ყოველთვის გაგვაგებინებს თავის ხმას!

რაც შეეხება თავად 17 მაისის კონცერტისა და ოჯახის სიწმინდის დღესასწაულის ანტიჰომოფობიის დღესთან დამთხვევის იდეას, შევეცდები არ გამოვხატო აზრი იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთი დიდი ტრაგედიაა: ადამიანებს არ შეუძლიათ საწინააღმდეგო აზრის მოსმენა და პატივისცემა! ეს მართლა ტრაგედიაა და ვიდრე ამ მიმართულებით ჩვენი საზოგადოება პროგრესს არ განიცდის, მანამდე არაფერი გვეშველება. აი, ეს კი არის ის აზრი, რისი გამოხატვისთვის მზად ვარ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, უკვე როგორც სტიქაროსანი. სოლიდარულობის უნარს ვუსურვებ ჩემს თავს და ყველას ჩვენს ირგვლივ.



დავით გარეჯის პრობლემა საბჭოთა დროსაც იდგა

აცხადებს ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელი ლაშა ბაქრაძე და რეჟისორისა და მწერლის რეზო თაბუკაშვილის არქივში დაცულ დავით გარეჯის დოკუმენტს ასაჯაროვებს:

– დავით გარეჯის რაიონში საქართველო აზერბაიჯანის საზღვრის ცვლილების პროექტი. სამსახურებრივი მოხმარებისათვის. ქსეროასლი. რეზო თაბუკაშვილის არქივი. გასული საუკუნის 80-იანი წლები.

საბჭოთა დროსაც ეს პრობლემა იდგა და ვერ მოგვარდა დღემდე. არც კი ჩანს, რომ ამაზე სერიოზული მუშაობა მიდიოდეს, არადა მუდმივი დაძაბულობა სერიოზულად ვნებს ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს და დიდი საფრთხეა მომავალშიც.

გოგი გვახარია: „არას“ თქმა უნდა ისწავლოთ, ძვირფასო ქართულო შემოქმედებითო ინტელიგენციავ!“



კინომცოდნე გოგი გვახარია ქართველ არტისტებს ურჩევს, არას თქმა ისწავლონ:

– ქართველო არტისტებო, ვინც 17 მაისს „ჰომოფობურ კონცერტში“ მონაწილეობაზე დათანხმდით... ცოტა უნდა შეგაშინოთ და თამარ ივერის ისტორია გაგახსენოთ, ერთმა დაუფიქრებელმა, თუ გნებავთ „გულწრფელად ნათქვამმა“ ფრაზამ ფაქტიურად კარიერა დაუნგრია კარგ მომღერალს.

მესმის, რომ ეს შემთხვევა გაბრაზებთ, „ლიბერალურ ფაშიზმზე“ იწყებთ ბოდვას, მაგრამ გინდა ფაშიზმი დაუძახეთ ამას და გინდა სხვა რამე, ასეა აწყობილი ის მსოფლიო, სადაც თქვენ ცეკვასა და სიმღერაზე ოცნებობთ. და თუ იქ გინდათ წარმატება, არ გამოგივათ. თუ, მაგალითად, ირანი გაკმაყოფილებთ, კი ბატონო, თქვენ იცით, გისურვებთ წარმატებას თეირანში, მოსკოვსა და პერმში.

„არას“ თქმა უნდა ისწავლოთ, ძვირფასო ქართულო შემოქმედებითო ინტელიგენციავ. თორემ, ეგ შორენაც დროებითია და ის ზიზილ-პიპილოებიც, რომლებსაც ეგენი გპირდებიან. „არას“ თქმას თუ ვერ ისწავლით, დარჩებით ასე „მესტეჩკოვი არტისტებად“, რომლებიც ოქროსა და ვერცხლში დამხრჩვალ, მაგრამ ბოროტებისგან აყროლებული ჯიპებით მოსეირნე ე.წ „მღვდლებს“ უხარებენ გულს. ჩვენ ხომ ზუსტად ვიცით, რომ სულ სხვა მაყურებელზე და სხვა მსმენელზე ოცნებობთ?

ჰოდა, 17 მაისამდე დიდი დროა. უთხარით მოძალადეს და კრიმინალს „არა“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

საავადმყოფოს 19 თანამშრომელი ერთდროულად იმშობიარებს

ამერიკის ნებრასკას შტატში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების 19 თანამშრომელი ერთდროულად ელოდება ბავშვის გაჩენას.

– ყოველდღე სამსახურში ერთი კითხვით მოვდიოდით: „საქმის კურსში ხართ, ხომ არ იცით, კიდევ ვინმე ხომ არ დაფეხმძიმებულა?“ ესა და ეს დაფეხმძიმდა, არავის უთხრა, უბრალოდ სიაში ჩაწერე, – ყვება მედდა ლიზა ვულფი. ამის მიუხედავად, მასობრივად დაფეხმძიმების შესახებ ინფორმაცია მაინც გავრცელდა.

მედდებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს საუბრები საკუთარ ფეხმძიმობაზე. მალე მათ შეემატნენ ექიმები და სასწრაფო დახმარების სამსახურის სხვა თანამშრომლები. მოელიან, რომ სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები ერთი მეორის მიყოლებით ამ ზაფხულს იმშობიარებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7029

ევრო — 3.03

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5132

100 რუსული რუბლი — 4.1971

ამინდის პროგნოზი 2 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

1 მაისიდან

ალექსანდრე დიუმა

კავკასია



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

ქმარმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო საძინებელში, დანა მოიმარჯვა და დაიყვირა:

– ახლა მოვკლავ ამ შობელძაღლს!

ამ დროს ცოლმა წინ დაუჩოქა და ეუბნება:

– ეგ არ ქნა, არ დაგვღუპო.

– რაა?

– რა და ორი ათას დოლარიანი ქურქი რომ მაცვია, მართლა თანამშრომლებმა კი არ მიყიდეს დაბადების დღეზე, ამ კაცმა მაჩუქა.

– რაა?

– შენ რომ ბოლო გამოშვების მერსედესით დადიხარ, მართლა ბიძაჩემმა კი არ გიყიდა, ამ კაცმა გიყიდა... ახლა კი ახალ სამოთახიან ბინას არის დაპირებული...

– მერე, შე შობელძაღლო, ეს კაცი რომ „სკვაზნიაკში“ გიწევს, საბანი მაინც დაახურე, არ გაცივდეს!..

●●●

მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

– მოისმინეთ, რაზე საუბრობდა განსასჯელი?

– არა, ბატონო მოსამართლევ, იმ დროს დერეფნის მეორე ბოლოში ვიმყოფებოდი, ის კი ჩურჩულით ლაპარაკობდა.

– და მაშინ, რატომ იფიქრეთ, რომ ის ხელისუფლებას ცუდად მოიხსენიებდა?

– კიდევ ერთხელ აგიხსნით, რომ ის ლაპარაკობდა ჩურჩულით, მაგრამ შემდეგ უცბად ხმამაღლა წარმოთქვა: „ეს ვირები ესენი!“

– და რატომ გადაწყვიტეთ, რომ მან ხელისუფლება იგულისხმა?

– აბა, სხვა ვინ?!

●●●

კბილის ექიმი თავისი კაბინეტის წინ ნერვულად ბოლთას სცემს. მედდა ეკითხება:

– რა, მძიმე შემთხვევაა?

– უმძიმესი! კლიენტს ჯიბეები ფულით აქვს სავსე და ერთი კბილიც კი ვერ ვუპოვე ჭიანი...

●●●

ერთი ქალი მეორეს ტელეფონზე ურეკავს და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– ფუნთუშას ვჭამ... ჯემით...

– კი მაგრამ, აკი დიეტაზე ვარო?

– გასახდომ ჩაის ვაყოლებ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იკერ კასილასს ვარჯიშზე გულის შეტევა მოუვიდა

ის კლინიკაშია გადაყვანილი

საფეხბურთო კლუბ პორტუს 37 წლის მეკარე იკერ კასილასი ჰოსპიტალშია გადაყვანილი. მას ვარჯიშის დროს გულის შეტევა დაემართა.

ინციდენტი გუშინ, 1 მაისს, მოხდა. კასილასმა თავი ცუდად ვარჯიშის დასრულების შემდეგ იგრძნო, რის შემდეგადაც მისი კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო.

ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სავარაუდოდ, ეს სეზონი მისთვის დასრულდა.

„პორტუს“ კარს იკერ კასილასი 2015 წლიდან იცავს. მასთან ერთად კლუბს პორტუგალიის ჩემპიონატი და სუპერთასი აქვს მოგებული. მანამდე (1999-2015) კასილასი მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა.

იკარდის ყიდვა იუვენტუსს სურს

მაურო იკარდიმ ზაფხულში შესაძლოა მილანის ინტერი დატოვოს, რადგან მას გუნდის ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ერთი პერიოდი იკარდი საერთოდ უარს ამბობდა თამაშზე. მიუხედავად იმისა, რომ მაურო მოედანზე დაბრუნდა, კონფლიქტი ჯერ ბოლომდე არ ამოწურულა.

იკარდის ყიდვა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს, მათ შორის არის იუვენტუსიც, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

იუვენტუსი იკარდის იმაზე მაღალ ხელფასს ჰპირდება, ვიდრე მას ინტერში აქვს.

ივან რაკიტიჩი: „ბარსელონადან წასვლა არ მსურს“

ბარსელონას ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა განაცხადა, რომ მას ბარსელონადან წასვლა არ სურს და თუ შესთავაზებენ, ის აუცილებლად მოაწერს ახალ კონტრაქტს ხელს. რაკიტიჩის თქმით, ბარსელონა მსოფლიოში საუკეთესო გუნდია:

– ბარსელონადან წასვლა ნამდვილად არ მსურს და არ ვიცი, საიდან ვრცელდება ეს ინფორმაცია. იმედი მაქვს, ახალ კონტრაქტს შემომთავაზებენ და მას აუცილებლად ხელს მოვაწერ. ბარსელონაში მინიმუმ სამი სეზონის გატარება კიდევ მსურს.

სოლსკიაერმა მარსიალი თანაგუნდელების წინ გააკრიტიკა

ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავისი ფეხბურთელი ენტონი მარსიალი თანაგუნდელების წინ გააკრიტიკა.

სოლსკიაერს არ მოეწონა, როგორ ხურდებოდა მარსიალი ჩელსისთან თამაშის დროს და ამიტომ მისი მოედანზე შეყვანა გადაიფიქრა.

სოლსკიაერმა მატჩის შემდეგ მარსიალს უთხრა, რომ ის სხვანაირად უნდა მიუდგეს საქმეს და თავისი დამოკიდებულება შეცვალოს.

მანჩესტერ იუნაიტედი ბოლო პერიოდში ცუდ შედეგებს აჩვენებს და, როგორც ჩანს, გუნდში არცთუ ისე კარგი ვითარებაა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვორდი 3



შვეულად: 1. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო პრეპარატი; 2. შვეიცარიაში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 3. ძველი ქართული ცხენოსნური თამაში-შეჯიბრება; 4. კერძო საწარმო სოფლად: 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულისგან მომზადებული საწებელა; 12. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 18. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ღვინის პატარა ქვევრი.

თარაზულად: 6. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია“; 8. წიაღისეულის მომპოვებელი სამთო საწარმო; 9. ფრანგი მწერალი; 10. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 11. იტალიელი კინორეჟისორი; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 19. კურორტი, ნავსადგური, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. სომხური ანბანის შემქმნელი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მძაფრი გემოს მქონე ფრანგული ყველი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა